



ახალი განათლება

www.akhaliganatleba.ge

facebook.com/Akhali Ganatleba

№20 (934) გამოდის 1998 წლიდან

10-16.06.2021

2

ლალი ჯილაძე

ყველაფერი დაგვიანებით მოხდა და ნაკლები ინტენსივობით

კანდეიჩის გავლენა სსსმ ოსწავლავებზე

4

აივანეშო შათირიშვილი

როგორ მოვემზადოთ ერთიანი ეროვნული გამოცდისთვის ბიოლოგიაში




2020-2021 სასწავლო წელი სკოლის შენობებში დასრულებულა

6

ბაკა ყიფიანი

ინტერვიუ ჯანა ჯავახიშვილთან



2021 wlis sagnis/ufrosi specialuri maswavleblis gamocdis, sagnobrivi da kompetenciebis dadasturebis testirek Catarebis ganrigi

➔ 14, 15 და 16 ივლისი

პროფესიული უნარები

➔ 20 ივლისი

ფიზიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
ქიმია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება;
ბიოლოგია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური).

➔ 21 ივლისი

ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და გუნდისმეტყველება (I-IV);
ქართული ენა და ლიტერატურა (დაწყებითი საფეხური);
მათემატიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
გეოგრაფია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
ისტორია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური).

➔ 22 ივლისი

მათემატიკა (დაწყებითი საფეხური);
მუსიკა;
სამომავლო განათლება (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
გუნდისმეტყველება (დაწყებითი საფეხური);
ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური).

➔ 23 ივლისი

ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური) – წერიტი ნაწილი;

გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური) – წერიტი ნაწილი;
ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური) – წერიტი ნაწილი;
რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური) – წერიტი ნაწილი;
ქართული, როგორც მეორე ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური) – წერიტი ნაწილი;
სპორტი;
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები – წერიტი ნაწილი.

➔ 25 ივლისი

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები – პრაქტიკული ნაწილი

➔ 26 ივლისი

ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური) – პრაქტიკული ნაწილი;
რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო ან / და საშუალო საფეხური) – პრაქტიკული ნაწილი;
გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური) – პრაქტიკული ნაწილი;
ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური) – პრაქტიკული ნაწილი;
ქართული, როგორც მეორე ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური) – პრაქტიკული ნაწილი.

➔ 27 ივლისი

უფროსი სპეციალური მასწავლებლის გამოცდა

პანდემიის გავლენა სსსმ მოსწავლეებზე

ყველაფერი დაბრუნებით მოხდა და ნაკლები ინტენსივობით

ლალი ჯალაძე

2020-2021 სასწავლო წელი დასასრულს უახლოვდება. დამთავრებით, საკმაოდ რთული და გამოწვევებით სავსე წელი აღმოჩნდა განათლების სფეროსთვის ისევე, როგორც დანარჩენი მიმართულებებისთვის. თუმცა, ცხადია, ჩვენი ინტენსივობის სფერო ამჟამად განათლებას, უფრო კონკრეტულად, სკოლა, რომელიც სერიოზული პრობლემების წინაშე დააყენა პანდემიის პერიოდმა. რა დანაკარგები აქვთ მოსწავლეებს და როგორ გამოვასწოროთ ჩამორჩენა, კოვიდ-პანდემიის ფონზე, სწორედ ამის გასარკვევად ახორციელებს განათლების კომისიის, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტს „სასწავლო დანაკარგების შეწყვეტა პანდემიის პერიოდში“. პროექტის ფარგლებში, კომისიის, პერიოდულად, ონლაინ დისკუსიებს მართავს სპეციალისტებთან. გასულ კვირას, პანდემიის დროს სსსმ მოსწავლეების ძირითად გამოწვევებსა და ინტენსივობის დაბრუნების გზისკენ. დისკუსიაში მონაწილეობდნენ პანდემიის განვლილი ინსტიტუტის დირექტორი ნინო ცინცაძე და ინტენსივობის განათლების სპეციალისტი, სპეციალური სალომო ჩარევის მენეჯერი, განათლების კომისიის დირექტორის, გიორგი ჭანტუაშვილის აზრით, ძალიან საინტერესოა დისკუსიის თემა: „როდესაც სასკოლო განათლების სისტემაზე ვსაუბრობთ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების პრობლემები ნაკლებად არის სწორედ დაფარული, ამიტომ გადაწყვეტილებები, ვებინარი მთლიანად ამ თემაზე დაფუძნებული და ვინაშით იმ დანაკარგებსა და გამოწვევებს, რაც ამ მიმართულებით არსებობს, განსაკუთრებით კი, პანდემიის პერიოდში. საინტერესოა, სპეციალისტებისგან მოვისინჯოთ, რა არის ეს დანაკარგები და რისი გავლენა შეიქმნა მათ აღმოსავლეთ-დასავლეთის სტრატეგიის და წარმოდგენა არსებობს ამ თემასთან მიმართებით, ამიტომაც არის მნიშვნელოვანი და საჭირო მათი აზრის მოსმენა.

პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ ჩვენ, ერთ-ერთ კვლევაზე მუშაობისას, ნინო ცინცაძე: „ზოგადად თუ ვისაუბრებთ, შეიძლება ითქვას, რომ იმავე გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ სსსმ მოსწავლეები და მათი მშობლები, რა გამოწვევების წინაშეც იყო ნებისმიერი სხვა ბავშვი და მისი მშობელი. მოგეხსენებათ, სკოლა არ არის მხოლოდ აკადემიური განათლების მიღების ნაწილი, ეს არის ზოგადი განათლებისა და განვითარების, სოციალიზაციის ნაწილი. ბავშვები მხოლოდ საგაკვეთილო პროცესში არ იღებენ განათლებას და არ ვითარდებიან. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია სკოლის როგორც ფიზიკური, ისე სოციალური გარემო და ამ გარემოდან მოწყვეტა, რა თქმა უნდა, არც ერთი ბავშვისთვის არ იყო კარგი და სასარგებლო, თავისთავად, არც სსსმ ბავშვებისთვის. ბუნებრივია, ამ პროცესებს ბევრი პრობლემა ახლდა – ბევრი დრო დაიკარგა, გარკვეული პერიოდი დასჭირდა დისტანციურ სწავლებაზე გადასტრუქტურებას.

ვერ ვიტყვი, რომ ეს ვინმეს ბრალია, მთელი მსოფლიო ამ მდგომარეობაში აღმოჩნდა და პრობლემები ყველგან იყო. ამ დროს, ცხადია, კიდევ უფრო მეტად იჩინა თავი იმ პრობლემებმა, რაც აქვთ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებს, ზოგადად, სასკოლო სისტემაში. სკოლაში რაღაც რომ ხდება, მათთვის ეს ცოტა უფრო გვიან ხდება ხოლმე, უფრო ნაკლები ხარისხითა და მასშტაბით. ამ ბავშვებთან მიმართებაში, ახლა სწორედ ეს პროცესი განმეორდა, ოღონდ ონლაინ სივრცეში. მათი ჩართვა უფრო გვიან მოხდა, ინტენსივობა და რაოდენობა ბევრად უფრო ნაკლები იყო. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით სპეციალური კვლევა არ ჩატარებულა, მაგრამ შემიძლია საკუთარი გამოცდილებით ვიმსჯელო, რადგან ბევრ შემთხვევასთან მქონია საქმე და დაახლოებით მაქვს წარმოდგენა ამ პროცესებზე. მოკლედ კი, ასე ვიტყვი – ყველაფერი დაგვიანებით მოხდა და ნაკლები ინტენსივობით.“

სალომე ჩარკვიანი: „პრინციპში, ნინოს უნდა დავეთანხმო. მიუხედავად იმისა, რომ არ გავქვს ობიექტური მონაცემები, განცდის დონეზე, ყველაფერი ბევრად უფრო რთულად იყო. ეს არ ეხებოდა მხოლოდ სსსმ მოსწავლეებს, ტიპური განვითარების შემთხვევაშიც ბევრად სტრესული იყო ცვლილებების პერიოდი – დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა, მერე ამ ყველაფერთან შეგუება და ადაპტირება, შემდეგ ისევ გამოსვლა, მერე ისევ გასვლა. თან ამ ყველაფრისთვის არ იყო მოსამზადებელი დრო, ძალიან მოკლე პერიოდში მიიღე-



მეტი-ნაკლებად მზარდი ტენდენცია დაინახეთ, თუ როგორ იზრდება სსსმ მოსწავლეთა ჩართულობა სასკოლო განათლების სისტემაში. თუ უფრო ძველი დროიდან მოვხვებით, გატყვი, რომ: მაგალითად, 2009 წელს სკოლაში ჩართული იყო 200-მდე სსსმ ბავშვი, დღეს 7000-ზე მეტი მოსწავლეა სასწავლო პროცესში ჩართული. თუმცა, ვიცით, რომ მზარდი ტენდენციის ფონზე, საკმაოდ ბევრი გამოწვევაა. ამიტომ, შერჩეულ სტუმრებს მინდა ვკითხო, ზოგადად, რა გამოწვევების წინაშე დააყენა პანდემიამ სკოლაში და მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მათი ოჯახები, მოვლები – რა გავლენა იქონია განათლების სისტემაზე პანდემიამ.“

სკოლა მათთან მიმართებაში არ მომხდარა. ამიტომ, ალბათ, სასურველი იქნებოდა, ინდივიდუალურად შეფასებულიყო, ერთი მხრივ, მათი საჭიროებები და, მეორე მხრივ, ის რეალობა, რომელიც ამ წლის განმავლობაში იყენებ. იმაზეც კი შეიძლება ლაპარაკი, რომ სკოლაში დამატებითი წელი დაუშვან (შესაძლოა ზოგიერთ მშობელს ეს არ უნდოდეს, ნაწილი კი თანახმა იყოს). ალბათ, რთული გადასაწყვეტი იქნება, მაგრამ ამას რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს, მე გეგონი, ცხადია.“

სალომე ჩარკვიანის აზრით, სამთავრობო გადაწყვეტილებებმა აჩვენა, რომ სისტემა სკოლაში დაბრუნების საკითხს ძალიან მარტივად უყურებს: „თითქოს ერთი გამოცხადება და მორჩა, მეორე დღეს მივალთ სკოლაში და ყველაფერი ისე გაგრძელდება, როგორც დატოვებთ. ამ დროს, ეს ასე არ იყო და ვერც იქნებოდა. სკოლაში დაბრუნების შემდეგ ძალიან რთული, დაახლოებით, ორ-სამკვირიანი პროცესი იყო, მერე – პერიოდი, როცა, თითქოს, შეგუება დაიწყო, მერე ისევ გავედით ონლაინ, შემდეგ ისევ „არდადეგები“ გამოცხადდა და ასე გაგრძელდა... ახლა იცით როგორი შეგრძობაა – სასწავლო წელი მთავრდება და ჩემს განცდაში (და ბავშვების განცდაშიც), თითქოს ოქტომბერია.“

აკადემიური თვალსაზრისით, მშობელს არდადეგების დროს ვერ მოსთხოვ პროცესში ჩართვას, როცა ონლაინ სწავლებაა. ვერც იმდენი ხნით ამეცადინებს შეილს, რამდენიც საჭიროა. ამდენი დრო არ აქვს, მასაც თავისი გრაფიკი აქვს, დროს რომ თავი დაავანებოთ, პროფესიულადაც უჭირს ეს ყველაფერი, სსსმ მოსწავლეს სპეციალური ტექნიკებით მუშაობა სჭირდება. წარმოდგინეთ, ამ ყველაფერს მივყვებით... ოფლაინს ონლაინ ცვლიდა, მერე ისევ თავიდან ვინყვებდით, ოფლაინ და ა.შ. მთელი წელი ასე ვტრიალებდით მანკიერ წრეზე. თავისთავად, ამ ყველაფერთან ფსიქოემოციურად შეგუებაც ძალიან რთული აღმოჩნდა, ბავშვებს შფოთვა დაეწყო. რამდენიმე ბავშვს ვერაფრით გავაგებინეთ, რატომ შეუძლია ხან დარჩეს სახლში და ხან არა, რატომ არის მეგობრებთან თამაში ხან შესაძლებელი და ხან არა. ასეთი პრობლემები ბევრი იყო. მაგრამ თავი დავანებოთ ფსიქოემოციურ მხარეს, იმიტომ, რომ სისტემას ამისთვის ისედაც დანებებული აქვს თავი და აქცენტი იმაზე გავაკეთოთ, რასაც მაქსიმალურად ითხოვენ ჩვენგან, სკოლებისგან – როგორი შედეგი დავედით? ალბათ, მთელი წლის განმავლობაში – მეოთხედი სემესტრის შედეგი. ამას, ცხადია, ჩემი სკოლის მაგალითზე ვამბობ, დანარჩენმა სკოლებმა თავისი შედეგები იციან. საერთოდ, საინტერესოა, რა ქნეს იმ სპეციალურ სკოლებმა, რომლებსაც 12 და 15 ბავშვი ჰყავდათ ამ წლის განმავლობაში, ასეთი სკოლებიც ხომ გვაქვს.“

ნინო ცინცაძე იმ პრობლემებსაც შეეხო, როცა მასწავლებლებს პარალელურ რეჟიმში მოუწიათ მოსწავლეებთან მუშაობა როგორც პირისპირ, ისე ონლაინ. ამბობს, რომ შედეგობა უმეტესობა, სტრესის და გადაღლილობის მთავარ წყარო, სწორედ ასეთ რეჟიმში მუშაობას ასახელებს. სალომე ჩარკვიანის აზრით, მასწავლებლებისთვის ეს რთული აღმოჩნდა არა მხოლოდ ორმაგი გაკვეთილების ჩატარების კუთხით, არამედ რესურსებიც მხრივაც: „ორმაგი შრომის დაუფასებლობასთან ერთად, მასწავლებლებს პრობლემა რესურსების მხრივაც ჰქონდათ იმიტომ, რომ კლასში სწავლებისას სულ სხვა რესურსი გჭირდება და თიმში – სხვა, იშვიათად ემთხვევა ერთმანეთს. ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომელიმე საიტზე შევიდეთ და ქართული რესურსი ამოვიღოთ, თან ამოვბეჭდოთ და მოსწავლეს გავუგზავნიოთ. ასე-



კანდიდიის გავლენა სსსმ მოსწავლეებზე

თი შემთხვევები იშვიათად იყო, ძირითადად, ეს მუშაობა კინეტიკური ხოლმე. თუმცა მე, ამ მხრივ, იღბლიანი აღმოვჩნდი, რადგან ჩემი ბავშვების მშობლებმა, როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცათ, ყველამ გამოუშვა ბავშვი სკოლაში. თუმცა, იქვე ამბობს, რომ შეიძლება ზოგმა გაიაზროს, მაგრამ არ ჰქონდეს იმის ფუფუნება, რომ ამ რისკზე წავიდეს, თუნდაც ბავშვის მდგომარეობიდან ან ოჯახიდან გამომდინარე. მშობლებს პრიორიტეტებიც სხვადასხვანაირი აქვთ – ნაწილისთვის სიცოცხლე და ჯანმრთელობა პრიორიტეტული, ვიდრე სწავლა-განათლება, ნაწილისთვის კი, პირობითი. ეს, ძირითადად, იმ კატეგორიისთვის, რომლებსაც არ ჰყავდათ მძაფრი რისკ-ფაქტორი ოჯახის წევრები და მიიჩნევენ, რომ არა უშავს, შეხვედეს კორონა, ვიდრე მთელი წელი სახლში იჯდეს და ჩამორჩეს ან ფსიქოემოციური განვითარება შეუფერხდეს. „რასაკვირველია, ამის ფუფუნებაც უნდა ჰქონოდათ ადამიანებს, ამიტომ მხოლოდ გააზრება საკმარისი არ არის. თუმცა, სამწუხაროდ, ისევე როგორც მასწავლებლების, მშობლების შემთხვევაშიც არიან ასეთი აზრის მქონე ადამიანები – ბავშვს სკოლაში მხოლოდ იმიტომ ატარებენ, რომ უბრალოდ იაროს, პროცესებში საერთოდ არ არიან ჩართულები. ნარმოდიგინეთ, ეს რა რთულია. მშობელი ისედაც ხომ შუალედური რგოლია სკოლასა და ბავშვს შორის, მით უფრო, როცა ბავშვები სახლში არიან და მშობლებმა უნდა შეითავსონ, გარკვეულწილად, მასწავლებლის როლიც – სახლშიც იმავე ქცევებსა და განვითარების ასპექტებზე უნდა იმუშაონ შეილთან, როგორც სკოლაში მუშაობს მასწავლებელი. როგორც წესი, ეს ასე არ ხდება, ანუ მთლიანად სკოლას ანევა ხოლმე ყველაფერი. მეორე მხრივ, როდესაც ონლაინ ვართ, ბავშვს მშობლის დახმარება კიდევ უფრო მეტად სჭირდება, თუნდაც, თიმში მუშაობისას, ნამუშევრის (რასაც დანერს, დახატავს ან სურათს გადაუღებს) გადმოგზავნისას. ხშირ შემთხვევაში, იმასაც კი ვერ ვახერხებთ, რომ მშობელი ტექნიკურად დაეხმაროს ბავშვს. მოკლედ, ეს იყო ყველაზე დიდი ტანჯვა.“

რა ინტერვენციები და ღონისძიებები უნდა გატარდეს ამ მიმართულებით? ნინო ცინცაძის აზრით, ზოგადად, მშობლისა და სკოლის ურთიერთობა ძალიან რთული თემაა არა მარტო ჩვენთან, უმრავლეს ქვეყნებშიც და დიდი ძალისხმევა სჭირდება ამ ორი რგოლის ჰარმონიზაციაში მოყვანას. სხვა რამეზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ხანდახან მტრული დამოკიდებულებაც კი ჩნდება – საპირისპირო ბანაკებად მოიაზრებენ თავს სკოლა და მშობლები. „ძალიან სამწუხარო რეალობაა და დიდი ძალისხმევა და მუშაობა სჭირდება ამის თავიდან აცილებას. გარდა ამისა, აქაც, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, მშობლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან, შესაბამისად, სხვადასხვანაირად პასუხობდნენ გამოწვევებს.

მე შემოიძლია ვისაუბრო არა მხოლოდ სკოლასთან დაკავშირებულ საკითხებზე, არამედ ბავშვის განვითარების ინსტიტუტის მაგალითზეც, რომელსაც წარმოვადგენ. შშმ ბავშვებისთვის სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამებს ვახორციელებთ და, გარკვეულ პერიოდში, ჩვენც მოგვინია მთლიანად ონლაინ რეჟიმზე გადასვლა. ამასთან დაკავშირებით მშობლების რეაქცია განსხვავებული იყო – ზოგისთვის პრინციპულად მიუღებელი აღმოჩნდა ბავშვთან ონლაინ მუშაობა, მეტიც, კატეგორიულ უარს აცხადებდნენ. ზოგიერთ შემთხვევაში, მშობლები ცდილობდნენ დახმარებას და მეტნაკლებად გამოსდობოდათ კიდევ.

ისეთი შემთხვევებიც იყო, როდესაც ონლაინ რეჟიმზე გადასვლით მართლა სასარგებლო და დადებითი შედეგი მივიღეთ. რატომ? იმიტომ, რომ მოხდა ის, რაც არ ხდება ხოლმე ცენტრში – გაიზარდა მშობლის ჩართულობა. ონლაინ მუშაობისას კი, თერაპიული პროცესისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, შეიკრას სამკუთხედი თერაპევტს, ბავშვსა და მშობელს შორის. სწორედ ეს მოხდა ონლაინ სესიების დახმარებით. სადაც მშობლის ჩართულობა იყო, იქ შედეგიც ძალიან კარგი მივიღეთ. მაგრამ, რა თქმა უნდა, რთულია ეს გავრცელდეს ხანგრძლივად იმიტომ, რომ მშობელს (სულერთია მუშაობს თუ არა), განსაკუთრებით – სტრესულ პერიოდში, ბევრი სხვა საზრუნავი აქვს. ხანგრძლივად და რეგულარულად, სხვა ვალდებულებებთან და პასუხისმგებლობებთან ერთად, მოივრო მასწავლებლის როლი, ფსიქოლოგიურადაც და სოციალურადაც რთულია. რაც მთავარია, ამას დამატებით სხვა უნარებიც სჭირდება, შესაბამისად, პრობლემა ბევრი იყო და არის ამ თვალსაზრისით.“

დისკუსიის დასასრულს, სპეციალისტებმა ის კონკრეტული საჭიროებები შეაჯამეს, რაც ონლაინ სწავლების პერიოდში სპეცმასწავლებლისთვის გაჩნდა. სალომე ჩარკვიანი ამბობს, რომ ოცნებობდა, რესურსი ყოფილიყო ისეთივე გამართული და მრავალფეროვანი ქართულ ენაზე, როგორც უცხოურია, განსაკუთრებით ინგლისურენოვანი რესურსი. „უცხოურ ენაზე აქვთ რესურსი, რომლის მოძიებაც ბავშვს თვითონ შეუძლია საიტზე ძალიან მარტივად, მე არ უნდა დამჭირდეს რაღაც ფაილების გაგზავნა და მერე მოსწავლეს უკან გამოვზავნა. თიმში, რეალურად, ყველაფრის მოძიებელი პროგრამა არ არის. კი ბატონო, დარეკავ, ეკრანს გააზიარებ და მერე?.. იმას, რაც თანამედროვე ბავშვს სჭირდება, ვერ აკმაყოფილებს. თანამედროვე ბავშვი ძალიან პრეტენზიულია, ითუბს უყურებს, აპლიკაციებში შედის, ძალიან ფერადია მისი სამყარო. რთულია, ეკრანშიღმა მჯდომამა მისთვის გაკვეთილი მიმზიდველი გახადო და ისეთი რესურსები გააგზავნო, რომელიც დაინტერესებს. ქართულად იშვიათად იპოვი საიტს, სადაც ბავშვი მხიარულად, ინტერე-

სით ინსწავლის, თუნდაც, ასობის ამორჩევას და სიტყვის აწყობას შეძლებს და ა.შ. არადა, სწორედ ეს იქნებოდა ძალიან სასარგებლო ჩვენი ბავშვებისთვის. სამწუხაროდ, რესურსების შექმნა პრიორიტეტად არ გამოცხადდა, ვინც ცის, რა იქნება მომავალ წელს? ან რამდენ ხანს მოგვინეებს სწავლის ამ რეჟიმში გაგრძელება? გამოდის, რომ ამ მიმართულებით, ფაქტობრივად, არ გვიმუშავია და ისევე თიმის იმედად დავრჩით.

მეორე საკითხი, რომელიც ასევე, მნიშვნელოვანია ჩემთვის, როგორც მასწავლებლისთვის, არის ის, რომ სასურველია, ონლაინ სწავლებაზე გადასვლის შემდეგ, ზუსტად მცოდნოდა, რამდენ ხანს გაგრძელდება დისტანციურად სწავლება – ექვსი თვე, სამი თუ ერთი თვის მერე შევძლებდით კლასში დაბრუნებას. მესმის, რომ ეს რალაცინარად მიბმულია ინფიცირებულთა რაოდენობაზე, თუმცა, მაინც ვფიქრობ, რომ ბოლომდე ასეც არ არის, იმიტომ, რომ ახლა ინფიცირებულების ზუსტად ის რაოდენობა გვყავს, რაც შემოდგომაზე იყო, როცა ვავედით ონლაინ. შესაბამისად, შესაძლებელი იყო ამ მიმართულებით რაღაც პოლიტიკის შემუშავება.“

როგორ მოემზადოს სკოლა მომდევნო აკადემიური წლისთვის? – ამ კითხვას ნინო ცინცაძე პასუხობს, რომ კარგი იქნება, სკოლამ შეისწავლოს ის საჭიროებები, რომელიც მის სსსმ მოსწავლეს აქვს. „თუ სისტემაში, დაახლოებით, 7000-ზე მეტი ბავშვია, ისინი, თავისთავად, გადანაწილებული არიან სხვადასხვა სკოლაში. თითოეულ სკოლას, ალბათ, რამდენიმე ათეული სსსმ მოსწავლე ჰყავს. აქედან გამომდინარე, არ უნდა იყოს მისთვის რთული ამ ოდენობის მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროების შესწავლა. ასევე, აუცილებელია ორივე ვერსიის/გეგმის ქონა – რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ სწავლა პირისპირ გაგრძელდება და რა უნდა მოხდეს, თუ ონლაინ იქნება.“

სალომე ჩარკვიანი: „პირველ რიგში, ვისურვებდი, როგორც შარშან მოხდა, სწავლის დაწყებასთან დაკავშირებით, ისე აღარ მოხდეს – მთელი ზაფხულის განმავლობაში ვიცოდით, რომ სკოლაში სწავლას პირისპირ დაიწყებდით და, უცებ, სექტემბერში აღმოჩნდა, რომ აღარ ვინცვართ. ჩვენ არ ვიცით, მაგრამ გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა ხომ ვიცოდნენ, რა გეგმა არსებობს ვაქცინაციასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ალბათ ისიც პროგნოზირებდნენ, შევძლებთ თუ არა მთელი შემოდგომა ან ზამთარი პირისპირ რეჟიმში სწავლას, თუ არადა, ახლავს რომ ვიცოდეთ ეს, კარგი იქნებოდა.“

გარდა ამისა, ხელმისაწვდომობის კუთხით, მნიშვნელოვანი ინტერვენციებია განსახორციელებელი, რომ მომავალ სასწავლო წელს მაინც, ონლაინ სწავლებას უფრო მომზადებული შევხვდეთ, თუ, რასაკვირველია, ამის საჭიროება დადგა.“



იუნისეფი მზადაა, დაეხმაროს მთავრობას დიდი ზომის ინსტიტუციებიდან ბავშვები ოჯახურ და თამაჯ დაფუძნებულ მზრუნველობაში გადაიყვანოს

ბავშვების ინსტიტუციებიდან გამოყვანისას საჭიროა სიფრთხილის დაცვა. ბავშვების ტრავმირების თავიდან ასაცილებლად პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. საჭიროა დიდი ზომის ბავშვთა სახლებში მყოფი ბავშვების შეფასება, რის საფუძველზეც უნდა მოხდეს ბავშვების ოჯახურ და სათემო ზრუნვაში გადაყვანა და ამ პრო-

ცესში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ბავშვების საკუთარ ოჯახებში დაბრუნებას.

აღნიშნულ პროცესში მხოლოდ ბავშვებთან მუშაობისა და კომუნიკაციის სათანადო ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი სპეციალისტები უნდა მონაწილეობდნენ.

ბავშვების მიმართ ნებისმიერი სახის ფიზიკურ თუ სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიება სწრაფად და ბავშვზე მორგებულ პროცედურების დაცვით უნდა ჩატარდეს. შესაბამის საგამოძიებო პროცედურებში ჩართული ბავშვები დაცული უნდა იყვნენ: მათი ტრავმირება და ვიქტიმიზაცია ყველანაირად უნდა იქნეს თავიდან არიდებული. აღნიშნულ პროცესში მათ უნდა მიენდობოთ იურიდიული დახმარება და სრულად მიენიჭოთ ყველა სხვა საჭირო გარანტია.

ამასობაში სოციალური მუშაკები და სახელმწიფო მონიტორინგის განმახორციელებელი შესაბამისი უწყებების სპეციალისტები რეგულარულ ვიზიტებს უნდა ახორციელებდნენ ყველა ინსტიტუციაში, რათა უზრუნველყონ ბავშვთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის პროფესიული შეფასება.

ინსტიტუციებში მოთავსებულ ბავშვებს უნდა ჰქონდეთ წვდომა შეტყობინების მექანიზმზე, რათა განაცხადონ ძალადობის ან უდიერი მოპყრობის შესახებ.

ინსტიტუციებში მოთავსებული ბავშვებისთვის უნდა შემუშავდეს ინდივიდუალური გეგმები, რათა განისაზღვროს შესაბამისი ალტერნატიული ზრუნვის ფორმა და საჭირო პროფესიული მხარდაჭერა. საჭიროა გაძლიერდეს თავად ალტერნატიული ზრუნვის და ოჯახის მხარდაჭერის მომსახურებები, რათა ინსტიტუციის დატოვების შემდეგ ბავშვებს, მათ ოჯახებსა და მათთან მიმუშავებ პროფესიონალებს ჰქონდეთ შესაბამისი მხარდაჭერა.

შესაბამისი მონაწილეები, დეინსტიტუციონალიზაციის ყველა ეტაპზე, პატივს უნდა სცემდნენ ბავშვებისა და მათი ოჯახების პირადი სივრცის უფლებას.

გაეროს ბავშვთა ფონდი გამოხატავს მზადყოფნას, მხარი დაუჭიროს დეინსტიტუციონალიზაციის და ოჯახის მხარდაჭერის მომსახურებების შესახებ კონსტრუქციულ დიალოგს. ნებისმიერი სახის მხარდაჭერა უფრო მეტად უნდა იყოს მიმართული ოჯახების გაძლიერებისკენ და ბავშვების ოჯახებში შენარჩუნებისაკენ, ვიდრე დიდი ზომის ბავშვთა ინსტიტუციების დაფინანსებისკენ.

გრძელვადიან პერსპექტივაში, იუნისეფი მხარს დაუჭერს ბავშვების ინსტიტუციონალიზაციის მიზეზების კვლევას და დაეხმარება დეინსტიტუციონალიზაციის სამოქმედო გეგმის შემუშავებას, განხორციელებას და ხელს შეუწყობს ოჯახის მხარდაჭერი მომსახურებების გაძლიერებას.

გაეროს ბავშვთა ფონდი, 2005 წლიდან, მხარს უჭერს საქართველოში დეინსტიტუციონალიზაციის პროცესს და ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმას. იუნისეფი გააგრძელებს

დაინტერესებული მხარეების მხარდაჭერას დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის დასრულებაში და ყველა ბავშვისა და მათი ოჯახებისთვის ოჯახურ და თემზე დაფუძნებული მზრუნველობის ხელშეწყობაში.

ერთ კვირაში სასწავლო წელი სკოლის შენობებში დასრულდება



საქართველოს საჯარო სკოლებში ვირუსის გავრცელების მაჩვენებელი კვლავ დაბალ ნიშნულზე რჩება. არსებული სტატისტიკა უკვე იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ 2020-2021 სასწავლო წელი სკოლის შენობებში დასრულდება. სტატისტიკური მონაცემებით, 29 მაისიდან 4 ივნისის ჩათვლით, მონიტორინგისა და სავალდებულო ტესტირების შედეგად, ქვეყნის მასშტაბით, ვირუსი მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა 0,2%-ს და მოსწავლეთა 0,05%-ს დაუდასტურდა.

მშობელთა თხოვნით, ვირუსის დადასტურების მიზეზით, ქვეყნის მასშტაბით, ამ ეტაპზე, სრულ დისტანციურ სწავლებაზეა 59 სკოლა და 145 ცალკეული კლასი.

რაც შეეხება რისკის ჯგუფში მყოფ მასწავლებლებს, რომელთაც სწავლების დისტანციურ ფორმატზე გადასვლა ითხოვეს, მათი რაოდენობა, ქვეყნის მასშტაბით, არის 122.

ვირუსის გამოვლენის შემთხვევებში სკოლებზე კვლავ წერტილოვანი შეზღუდვები გავრცელდება.

საჯარო და კერძო სკოლებში შედგაომა ტესტირება უწყვეტ რეჟიმში გრძელდება. სკოლებში სისტემატურად მიმდინარეობს უსაფრთხო გარემოს მონიტორინგი, როგორც სამინისტროს პირველი პირების, ასევე, ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრების მხრიდან.



როგორ მოვემზადოთ ერთიანი ეროვნული გამოცდისთვის ბიოლოგიაში

აივანგო შათირიშვილი

შეფასებისა და გამოცდის ეროვნული ცენტრის ბიოლოგიის ჯგუფის წარმომადგენელი



დღეს ვისაუბრებთ ბიოლოგიის გამოცდის შესახებ. თავდაპირველად, შევეხებით იმას, თუ როგორი სტრუქტურის არის ტესტი და მასში შეტანილი ამოცანები. უნდა მოგახსენოთ, რომ ამოცანები ფარავს ყველა ძირითად საკითხს, რაც პროგრამითაა გათვალისწინებული. ამიტომ, ყურადღება მიაქციეთ საპროგრამო საკითხებს.

ბიოლოგიის ტესტის (დავალბათა კრებულის) სტრუქტურა

ტესტში შეტანილი პროგრამით გათვალისწინებულ ყველა ძირითადი საკითხი.

საგამოცდო ტესტში წარმოდგენილია არჩევითი პასუხიანი (დახურული) და ღია დავალებები.

დავალებებით მოწმდება როგორც ფაქტობრივი ცოდნა, ისე სინთეზისა და ანალიზის უნარი.

საგამოცდო ტესტში წარმოდგენილია როგორც ღია, ასევე დახურულბოლოიანი ამოცანები, რომელიც ამონებებს როგორც ცოდნას, ასევე აბიტურიენტის სინთეზისა და ანალიზის უნარს. რაც შეეხება ტესტზე მუშაობის პროცესს, რა უნდა გაითვალისწინოს აბიტურიენტმა:

სამუშაოს შესრულებისას უნდა გაითვალისწინოთ:

- როდესაც დავალებას ვერ პასუხობთ, გირჩევთ ის გამოტოვოთ და გადახვიდეთ მომდევნოზე, როდესაც მთლიანად დაასრულებთ სამუშაოს, შემდეგ მიუბრუნდით გამოტოვებულ დავალებას.
- ტესტში წარმოდგენილი ამოცანები შინაარსობრივად და სირთულის მიხედვით არაერთგვაროვანია. კარგად უნდა გაიაზროთ, რას გეკითხებიან, დაუკვირდით ამოცანის პირობას და მხოლოდ შემდეგ გეცით პასუხი.
- დავალბათა შესრულებისას ჯერ გეცით პასუხი ყველა შეკითხვას, შემდეგ კი გადაამოწმეთ მათი სისწორე.
- არ შეცვალოთ დავალებაში მოცემული პირობა და სიმბოლოები. დაიცავით ამოცანაში მითითებული პირობა. წესის დარღვევის შემთხვევაში დავალება არ შეფასდება.

- მუშაობისას, კერძოდ, როდესაც დავალებას ვერ პასუხობთ, გირჩევთ, გამოტოვოთ და გადახვიდეთ მომდევნოზე. როდესაც მთლიანად დაასრულებთ სამუშაოს, მხოლოდ ამის შემდეგ მიუბრუნდით გამოტოვებულ დავალებას.
- ტესტში წარმოდგენილი ამოცანები და დავალებები, შინაარსობრივად და სირთულის მიხედვით, არაერთგვაროვანია. კარგად უნდა გაიაზროთ, რას გეკითხებიან და ამომწურავი, ზუსტი პასუხი გასცეთ დავალებას.
- დავალბების შესრულებისას, ჯერ დაასრულეთ სამუშაო, ყველა შეკითხვას გეცით პასუხი და შემდეგ, განმეორებით, გადაამოწმეთ, რამდენად სწორად გეცით პასუხი.
- არ შეცვალოთ დავალებაში მოცემული პირობა და სიმბოლოები, დაიცავით ამოცანაში მითითებული პირობა. წესის დარღვევის შემთხვევაში, დავალება არ შეფასდება.

განვიხილოთ ზოგიერთი დავალება, რომელიც გასულ წელს იყო შესული ტესტში. თავდაპირველად ის ამოცანები მიმოვიხილოთ, რომელსაც ადვილად სძლევენ აბიტურიენტები. წარმოდგენილია გენეტიკური ამოცანა:

დავალბები რომელთა ამოხსნა უადვილდებათ აბიტურიენტებს

3 (1ქ). იხელმძღვანელოთ ილუსტრაციით და განსაზღვრეთ, როგორი გენოტიპური დათიშვა მიიღება მეორე თაობაში (F₂).

ა) 3AA : 1aa;
ბ) 1Aa : 1aa;
გ) 1AA : 1Aa : 1aa;
დ) 1AA : 2Aa : 1aa.

აბიტურიენტები კარგად ასრულებენ გენეტიკურ ამოცანებს.

კერძოდ, აბიტურიენტს ევალბა ვიზუალური ინფორმაციის გაანალიზება და მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა. პირველ რიგში, საჭიროა ორი საკითხის გადაჭრა – როგორი გენოტიპის ინდივიდები ყალიბდება პირველ თაობაში და შემდეგ, მის საფუძველზე, როგორი კომბინაციის გენოტიპები მიიღება მეორე თაობაში. როგორც ილუსტრაციიდან ჩანს, ადგილი აქვს ერთგვარობის კანონს, ხოლო სავარაუდო პასუხები მიუთითებს, რომ საქმე გვაქვს მონოგენურ მემკვიდრეობასთან.

ბუნებრივია, პირველი თაობის ინდივიდი ჰეტეროზიგოტურია და მისი გენოტიპი არის Aa, რაც შეეხება მეორე თაობაში მიღებულ ინდივიდთა გენოტიპს, სამი კომბინაციაა, თანაფარდობით – 1AA, 2Aa და 1aa. ა) და ბ) აღნიშნული სავარაუდო პასუხები მცდარია, ვინაიდან გენოტიპთა მხოლოდ ორი კომბინაციაა წარმოდგენილი. რაც შეეხება მესამეს, გ), ისიც მცდარია, ვინაიდან თანაფარდობა არის 1, 1 ერთთან და არაა 1, 2 ერთთან, ანუ გენეტიკური კლასები თანაბრად წარმოდგენილი. სამართლიანია მხოლოდ დ) ასოთი აღნიშნული ბოლო პასუხი და საჭიროა მისი შემოხაზვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აბიტურიენტები კარგად ართმევენ თავს გენეტიკურ ამოცანებს და გენეტიკური ამოცანები კარგად ინვესტან რაწილებას, კარგად ალაგებს ძლიერ და სუსტ აბიტურიენტებს.

გადავიდეთ ისეთ ამოცანებზე, რომელთა შესრულება აბიტურიენტებს უძნელდებათ.

დავალბები რომელთა შესრულება უძნელდებათ აბიტურიენტებს

2 (1ქ). ცხოველურ უჯრედს, ბაქტერიული საგანგანსხვავებით, აქვს:

ა) მოლტი;
ბ) ბირთვი;
გ) პლაზმური მემბრანა;
დ) რიბოსომა.

P = 75%

ილუსტრაციაზე წარმოდგენილი ამოცანა საკმაოდ მარტივია, უნდა დააკვირდეთ, რას გეკითხებიან, მარტივი საკითხები უნდა განაზოგადოთ და ზოგადი დასკვნა გამოიტანოთ. კერძოდ, გვეკითხებიან, რა აქვს საერთო ცხოველურ და ბაქტერიულ უჯრედს. თქვენ, მაშინვე, უნდა მიხვიდეთ იმ დასკვნამდე, რომ გვეკითხებიან რით განსხვავდება პროკარიოტული და ეუკარიოტული უჯრედი. მთავარი განმასხვავებელი რამ უკვე სათაურშივე დევს, კერძოდ, ერთს აქვს ბირთვი, ხოლო მეორე უბირთვოა არიან, ანუ ცხოველური უჯრედი ეუკარიოტულ უჯრედებს, ორგანიზმებს მიეკუთვნება, ბაქტერიები კი – არა, პროკარიოტები არიან.

დავალბები რომელთა შესრულება უძნელდებათ აბიტურიენტებს

2 (1ქ). ცხოველურ უჯრედს, ბაქტერიული საგანგანსხვავებით, აქვს:

ა) მოლტი;
ბ) ბირთვი;
გ) პლაზმური მემბრანა;
დ) რიბოსომა.

P = 75%

თუ ჩამონათვალს გადავხედავთ, საჭიროა, ყველას გაცეთ პასუხი. მოლტები, პლაზმური მემბრანა და რიბოსომები აქვს როგორც ეუკარიოტულ, ასევე პროკარიოტულ უჯრედს, მაგრამ ბირთვი განსხვავებულია – პროკარიოტებს არ აქვთ ბირთვი, ხოლო ეუკარიოტებს აქვთ. მთავარი განმასხვავებელი ნიშანი სწორედ ეს გახლავთ. საკმაოდ მარტივი

ამოცანაა, მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ აბიტურიენტთა მხოლოდ 75%-მა გასცა მართებულად პასუხი.

შემდეგი ამოცანა გაცილებით რთულია და მოითხოვს როგორც ფაქტობრივი მასალის ცოდნას, ასევე საკითხთა შეჯერებას და დასკვნის გამოტანას. კერძოდ, ის ეხება ფოტოსინთეზის საკითხს და აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამოცანა მოცემულია უარყოფითი წინადადების სახით, რასაც სავარაუდო ყურადღება უნდა მიაქციოთ.

მოვლენათა ურთიერთდაკავშირება - ანალიზი

14 (1ქ). ფოტოსინთეზის სინთეზის ფაზაში არ მიმდინარეობს:

ა) ნახშირორჟანგის გამოყენება;
ბ) ჟანგბადის გამოყოფა;
გ) ნახშირწყლების სინთეზი;
დ) ატფ-ის დამლა.

P = 56%

აბიტურიენტებს უძნელდებათ პლასტიკურ და ეროვნულ დავალებების შესრულება.

ამოცანაში ეს საგანგებოდაა აღნიშნული, გამუქებულია და ხაზგასმულიც არის. აბიტურიენტმა უნდა გაიხსენოს, რა პროცესი მიმდინარეობს ფოტოსინთეზის სინთეზისა და სინთეზის ფაზაში. გვეკითხებიან – რა არ მიმდინარეობს სინთეზის ფაზაში? მაშინვე თქვენ უნდა ჩამოაყალიბოთ, რა მიმდინარეობს – კერძოდ, ნახშირორჟანგის გამოყენება, ნახშირწყლების სინთეზი, ასევე, ატფ-ის დამლა მიმდინარეობს ფოტოსინთეზის სინთეზის ფაზაში. ამრიგად, ეს პასუხები მართებული არ არის.

სინთეზის ფაზაში კი, ხდება წყლის ფოტოლიზი, ჟანგბადის გამოყოფა, ამრიგად, ბ) ასოთი მოცემული სავარაუდო პასუხია, ამ შემთხვევაში, სამართლიანი და უნდა შემოხაზოთ ბ). სტატისტიკურმა ანალიზმა, რომელიც გამოცდების შემდეგ ტარდება, აჩვენა, რომ აბიტურიენტთა 56%-მა დასძლია ეს ამოცანა, ხოლო დანარჩენმა სწორად ვერ უპასუხა. საერთოდ, აბიტურიენტებს უძნელდებათ პლასტიკურ და ენერგეტიკულ ცვლასთან დაკავშირებული ამოცანების შესრულება.

შემდეგი ამოცანა, რომელიც უნდა განვიხილოთ, არის აგრეთვე ვიზუალური ინფორმაციის წაკითხვა, ანალიზი და აბიტურიენტმა რამდენიმე პრობლემა უნდა გადაჭრას.

ილუსტრაციაზე მუშაობის უნარის შემოწმება;

21 (1ქ). იხელმძღვანელოთ ილუსტრაციით და განსაზღვრეთ, რომელი ლათინური ასოთი აღნიშნულ ორგანოიდში მიმდინარეობს ატფ-ის სინთეზი.

ა) მხოლოდ A;
ბ) მხოლოდ B;
გ) A და C;
დ) B და D.

p = 75%

ჩვენ ვიძლევი ნიმუშს, როგორ უნდა გააანალიზოთ გამოცდაზე ამოცანა, რომ მართებულ დასკვნამდე მიხვიდეთ. კერძოდ, უნდა ამოიცნოთ, რომ საქმე გეკითხება მცენარეულ უჯრედთან, გარდა ამისა, უნდა ამოიცნოთ ორგანოიდები, რომელიც აქ არის მოცემული, ამავე დროს, უნდა გააანალიზოთ, რომელში მიმდინარეობს ატფ-ის სინთეზი და რომელში – არა. A ასოთი აღნიშნულია მიტოქონდრია. ბუნებრივია, მიტოქონდრიაში ატფ-ის სინთეზი მიმდინარეობს, ის ენერჯის ძალსადგური გახლავთ და კრების ციკლში სწორედ ასეთი პროცესი ხორციელდება; მომდევნო – B ენდოპლაზმური ბადა, ბუნებრივია, მასში ატფ-ის სინთეზი არ ხდება; რაც შეეხება ქლოროპლასტს, რომელიც C ასოთია აღნიშნული


აბიტურიენტთა დასახმარებლად

ლი, მასში მიმდინარეობს ატფ-ის სინთეზი, კერძოდ, ფოტო-სინთეზი სინათლის ფაზაში; მეოთხე, D ორგანოიდი, რომელიც წარმოადგენილია სურათზე, გოლჯის კომპლექსია და მასში ატფ-ის სინთეზი არ ხდება. ამრიგად, ოთხეუდ სავარაუდოდ პასუხი უნდა გააანალიზოთ და შეარჩიოთ ისეთი ვარიანტი, სადაც A და C ორგანოიდი წარმოადგენილი. ეს გახლავთ გ) ასოთი აღნიშნული სავარაუდოდ პასუხი. ამ ამოცანას აბიტურიენტთა მხოლოდ 75%-მა გაართვა თავი.

მომდევნო ამოცანაში აბიტურიენტს ევალება ორმაგ განაყოფიერებასთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრა ყვავილოვან მცენარეებში.

ილუსტრაციაზე მუშაობის უნარის შემოწმება (ლია ამოცანა)

45 (1ქ). განსაზღვრეთ, რომელი ლათინური ასოთი აღნიშნული უჯრედი მონაწილეობს ენდოსპერმის ჩამოყალიბებაში:



P = 49% პასუხი: B

კერძოდ, უნდა ამოიცნოს, თუ რა არის ილუსტრაციაზე წარმოდგენილი, უნდა გააანალიზოს ილუსტრაცია, მასზე წარმოდგენილ უჯრედებში ქრომოსომა რაოდენობა, ვინაიდან ენდოსპერმს ეკითხებიან და ენდოსპერმს, მოგვსენებათ, ქრომოსომა ტრიპლოიდური რაოდენობა აქვს. სურათზე, ჩანასახოვან პარკში, A ლათინური ასოთი აღნიშნულ უჯრედებს ქრომოსომა ჰაპლოიდური რაოდენობა აქვთ, რაც შეეხება სანინალმდეგო პოლუსებზე წარმოდგენილ

უჯრედებს, მხოლოდ და მხოლოდ ჰაპლოიდური რაოდენობა აქვთ. C ასოთი აღნიშნულია კვერცხუჯრედი (რა თქმა უნდა, ჰაპლოიდი). დააკვირდით ცენტრს, ცენტრში მოცემულია უჯრედი, სადაც ორი უჯრედი ერთმანეთს ერწყმის, ეს ერთგვარი მინიშნებაა, რომ ასეთი ორი უჯრედი, ჰაპლოიდი ერწყმის და განაყოფიერების შემდეგ, სწორედ ის იქნება ტრიპლოიდური, საიდანაც ენდოსპერმი წარმოიქმნება. პასუხი უნდა დაწეროთ ასო B. ამ ამოცანას, აბიტურიენტთა მხოლოდ 49%-მა გასცა დადებითად პასუხი.

შემდეგი დავალება არის ღია და იგი ამოწმებს, რამდენად ფლობს აბიტურიენტი სისხლის მიმოქცევის სისტემის აგებულებასა და ნერვული რეგულაციის საკითხებს. კერძოდ, როგორი სახის კუნთოვანი ქსოვილი გვხვდება (ლაპარაკია სისხლის მიმოქცევის სისტემაზე).

ფაქტობრივი ცოდნის ღია დავალებით შემოწმება

45 (2ქ). სისხლის მიმოქცევის სისტემა რთული აგებულებისაა და მრავალ ფუნქციას ასრულებს.

- 1. როგორი სახის კუნთოვანი ქსოვილი გვხვდება სისხლის მიმოქცევის სისტემაში?
2. ნერვული სისტემის რომელი ნაწილი არეგულირებს მათ მოქმედებას?

პასუხი: 1. სისხლის მიმოქცევის სისტემაში გვხვდება გლუვი და გულის განივზოლიანი კუნთოვანი ქსოვილი; P=24; 2. კუნთების მოქმედება რეგულირდება ავტონომიური ნერვული სისტემით. P=32;

ბუნებრივია, ვენებსა და არტერიებში გლუვი კუნთოვანი ქსოვილია წარმოდგენილი. რაც შეეხება გულს, იქ სპეციფიკური ქსოვილი გვხვდება – გულის განივზოლიანი კუნთოვანი ქსოვილი. რაც შეეხება პასუხს, ამდაგვარი უნდა იყოს – სისხლის მიმოქცევის სისტემაში გვხვდება გლუვი და გულის განივზოლიანი კუნთები. ამ დავალებას მხოლოდ 24%-მა

უპასუხა დადებითად.

რაც შეეხება დავალების მეორე საკითხს, სადაც ნერვულ რეგულაციაზე ლაპარაკი, უნდა გვახსოვდეს, რომ შინაგან ორგანოებს ავტონომიური ნერვული სისტემა არეგულირებს. სამწუხაროდ, აბიტურიენტთა მხოლოდ 32%-მა გასცა ამ საკითხს დადებითი პასუხი.

საერთოდ, თუ განვაზოგადებთ და ჩვენი ცენტრის სტატისტიკურ ანალიზს ვერწმუნებით, აღმოჩნდება, რომ აბიტურიენტებს ბიოლოგიაში უძნელდებოდათ კომბინირებული, ინტეგრირებული ამოცანების შესრულება, კერძოდ, რომელიც ეხება ნერვულ და ენდოკრინულ სისტემას, რომელიც ეხება პლასტიკურ და ენერგეტიკულ ცვლას, მიტოზსა და მეიოზს, ასევე ეკოლოგიისა და ბიოეკოლოგიის საკითხებს.

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ამ დავალებებს, ამ საკითხებს. გისურვებთ წარმატებებს.



კონკურსის გააჩვენებულები

საქართველოს 2021 წლის საუკეთესო მოსწავლეთა კომპანია გამოვლინდა

გაქა ყიფიანი

5 ივნისს, „ჯუნიორ ენთერპრენერ საქართველოს“ მიერ, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის „სამეწარმეო განათლების მხარდაჭერა ევროპასა და ევრაზიაში“ ფარგლებში, გაიმართა „მეწარმეობის“ პროგრამის სწავლებაში ჩართული მინი-კომპანიების კონკურსი, სადაც წარმოდგენილი იყო მეწარმეობის პროგრამაში მონაწილე საუკეთესო 8 მინი-კომპანია. „საქართველოს 2021 წლის საუკეთესო მოსწავლეთა კომპანიის“ კონკურსი, წელს, მსოფლიოში შექმნილი ვითარების გამო, დისტანციურად, ონლაინ შეხვედრების აპლიკაცია Zoom-ში წარიმართა.

მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ, წარმოედგინათ მათ მიერ დაფუძნებული კომპანიები და საკუთარი პროდუქცია მომხმარებლისთვის და ჟიურისთვის.

შეგახსენებთ, რომ 2020-2021 სასწავლო წლის განმავლობაში, საქართველოს მასშტაბით, 250-ზე მეტ სკოლაში მიმდინარეობს „ჯუნიორ ენთერპრენერ საქართველოს“ მიერ მომზადებული პროგრამის „მეწარმეობის საფუძვლები“ სწავლება. პროგრამა „მეწარმეობის საფუძვლები“ ისწავლება მეწარმეობის სწავლების პრაქტიკული მეთოდით – სწავლება კეთებით, რომლის დროსაც მოსწავლეები სიმულაციურ კომპანიებს აყალიბებენ და მართავენ. პროექტის მიმდინარეობისას

მოსწავლეები სამეწარმეო საქმიანობის ძირითად საკითხებს ეცნობიან. მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ პრაქტიკულად დაინახონ, თუ რა პროცესები მიმდინარეობს ბიზნეს იდეიდან რეალური ბიზნესის ფორმირებამდე. აყალიბებენ საკუთარ მინი-კომპანიებს, ირჩევენ კომპანიის მმართველ დირექტორთა საბჭოს, ახორციელებენ კაპიტალის მოზიდვას, მომხმარებელთა საჭიროებების კვლევას, საქმიანი დოკუმენტაციის წარმოებას, ბაზარზე გააქვთ მათ მიერ არჩეული და წარმოებული საქონელი ან მომსახურება და ყიდნიან. სასწავლო წლის ბოლოს, ისინი ამზადებენ ანგარიშგებას და აცნობენ მას თავიანთ აქციონერებს.

პროგრამა მომზადებულია „ჯუნიორ ენთერპრენერ მსოფლიოს“ (JA Worldwide) „მოსწავლეთა კომპანიის“ პროგრამის (Student Company Programme) მასალებზე დაყრდნობით, რომელიც აღიარებულია ევროკომისიის მთავარი დირექტორატისა და ევროპის ტრენინგ-ფონდის (ETF) მიერ საუკეთესო პრაქტიკად სამეწარმეო განათლებაში.

პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, 2020-2021 სასწავლო წელს, მეწარმეობის საფუძვლების სწავლების პროცესში შექმნილი მოსწავლეთა კომპანიების გამოფენა-გაყიდვა, სადაც თითოეულ მინი-კომპანიას შესაძლებლობა აქვს, მოახდინოს პროდუქციის რეალიზაცია და გააცნოს საკუთარი საქმიანობა ფართო მასებს. შერჩეული



25 კომპანიის მონაცემები განთავსებულია „ჯუნიორ ენთერპრენერ საქართველოს“ ვებგვერდზე, ონლაინ გამოფენა-გაყიდვაზე. თქვენ შეგიძლიათ დაუკავშირდეთ მოსწავლეთა კომპანიებს და შეიძინოთ მათი პროდუქტი.

ლონისძიების ბოლოს, გამოვლინდა 2021 წლის საუკეთესო მოსწავლეთა კომპანია და 2021 წლის საუკეთესო მასწავლებელი, რომლებიც, 16-დან 29 ივლისის ჩათვლით, წარადგინენ საქართველოს ევროპის რიგით 32-ე მოსწავლეთა კომპანიების კონკურსზე, სადაც წარმოდგენილი იქნება ევროპის 40 ქვეყნის საუკეთესო მინი-კომპანიები. ასევე, გამარჯვებული გუნდები გამოვლინდნენ სხვადასხვა ნომინაციებში, საუკეთესო პროდუქტი, საუკეთესო ინტერვიუ, მომხმარებლის რჩეული.

2021 წლის საუკეთესო მოსწავლეთა კომპანია გახდა სსიპ ქალაქ ბათუმის №16 საჯარო სკოლის მოსწავლეთა კომპანია „Bambusa“ და 2021 წლის საუკეთესო მასწავლებელი – ამავე სკოლის მეწარმეობის საფუძვლების მასწავლებელი ინგა გვეგშიძე.

მოსწავლეთა კომპანია „ბამბუსა“ აწარმოებს ბამბუკის მასალისგან შექმნილ სხვადასხვა დიზაინის ეკოლოგიურად სუფთა საწარმებს და მათი მიზანია, რომ სამყარო გახადონ უფრო ენერგოეფექტური. კომპანიის სარეკლამო რგოლი: https://www.youtube.com/watch?v=Wz0Y2ytwcpq

ასევე, წარმოგიდგინთ გამარჯვებულ გუნდებს ნომინაციებში:

საუკეთესო პროდუქტი – Georgian-American International School Progress • Kutaisi – მოსწავლეთა კომპანია „Bagic“.

მოსწავლეთა კომპანია „Bagic“ აწარმოებს ხელთ ნაქსოვ ჩანთებს სხვადასხვა დანიშნულებისთვის. ძირითადად, გამოიყენება მაღაზიაში შექმნილი სხვადასხვა პროდუქტის მოსათავსებლად, რათა შემცირდეს პოლიეთილენისგან დამზადებული ჩანთების მოხმარება და ასევე, მისი გამოყენება შესაძლებელია მრავალჯერადად.

საუკეთესო ინტერვიუ – კერძო სკოლა სადუნის მოსწავლეთა კომპანია „ბიო ბუშტი“.

მოსწავლეთა კომპანია „ბიო ბუშტის“ პროდუქტი გახლავთ წყალი ბიოდეგრადირებად, ეკოლოგიურად სუფთა შეფუთვით. კომპანიის მიზანია პოლიეთილენის გამოყენების მაქსიმალურად შემცირება, პლანეტის უკეთესობისკენ შეცვლისათვის.

მომხმარებლის რჩეული – სკოლის „ეისი“ მოსწავლეთა კომპანია „ბისონი“

მოსწავლეთა კომპანია „ბისონი“ ახორციელებს ძველი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის განახლებას და რეალიზაციას, რათა გარემოს ააცილოს დანაგვიანება ძველი, დაზარალებული ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ნარჩენებისგან. ასევე, მოსახლეობის სოციალურად დაბალ ფენას ეხმარება ძველი ტანსაცმლის ხელახლა გამოყენებაში, ნაკლები ხარჯის განვიით.

Advertisement for GEN-2021 Entrepreneurship Festival featuring 'RENDER THE FUTURE' and 'BOYE' with event details like date (June 5), time (16:00), and location (Zoom.us).

სტუდენტური ასაკი რისკის ასაკია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების თვალსაზრისით

დაახლოებით ორი წლის წინ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების – ჯანა ჯავახიშვილის და ნინო მახაშვილის ინიციატივით, ილიაუნის სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრი დაარსდა, რომელიც სტუდენტებს ფსიქოლოგიური პრობლემების გადაჭრაში ეხმარება. საკონსულტაციო ცენტრით სარგებლობა და მაღალკვალიფიციური ფსიქოლოგიური დახმარების მიღება ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია, ფსიქიკური ჯანმრთელობის ისეთ გავრცელებულ პრობლემებთან დაკავშირებით, როგორცაა: შფოთვის, დაქვეითებული გუნება-განწყობილება, ურთიერთობის სირთულეები, სტრესის შედეგად განვითარებული მდგომარეობა და ა.შ. მომსახურება უფასოა და, სურვილის შემთხვევაში, კონსულტაცია ანონიმური. პანდემიის პერიოდში კონსულტირების ცენტრი დისტანციურ რეჟიმში მუშაობდა.

ილიაუნის სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრის მუშაობის, მიზნების, საჭიროებისა და მნიშვნელობის შესახებ გვესაუბრება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ჯანა ჯავახიშვილი

– რა არის ილიაუნის სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრის მიზანი და რა სახის დახმარებას უწევს სტუდენტებს?

– ზოგადად, სტუდენტური ასაკი რისკის ასაკია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების თვალსაზრისით. მტკიცებულებების თანახმად, ფსიქიკური აშლილობების მქონე ზრდასრულთა დაახლოებით ორ მესამედში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები 24 წლამდე ასაკში დაიწყო. ასევე, არსებობს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სტუდენტთა შორის ჩატარებული კვლევების მთელი მასივი, რომელიც ადასტურებს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გავრცელების მაღალ დონეს. აქ საუბარია ფსიქიკური ჯანმრთელობის ისეთ გავრცელებულ პრობლემებზე, როგორცაა დეპრესია, შფოთვის, პოსტტრავმული სტრესული აშლილობა და ა.შ. სხვათა შორის, ამ თვალსაზრისით, გარკვეული დინამიკაც შეინიშნება, მაგალითად, ინგლისში ჩატარებული კვლევის თანახმად, სწავლების მეორე წელს, ბაკალავრებს შორის, ფსიქოლოგიური დისტრესის დონე უფრო მაღალია, ვიდრე პირველ წელს, ხოლო მესამე წელს ოდნავ უფრო დაბალია, ვიდრე მეორე წელს, მაგრამ უფრო მაღალია, ვიდრე პირველ წელს.

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებისთვის ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისი ხელმისაწვდომი იყოს როგორც გეოგრაფიულად, ასევე ფინანსურად და ასაკობრივად. აქედან გამომდინარე, მსოფლიოს ბევრ უნივერსიტეტში მიღებული პრაქტიკაა სტუდენტებისთვის ფსიქოლოგიური კონსულტირების სერვისის ორგანიზება უზრუნველყოფა. მაგ., ოქსფორდის უნივერსიტეტის სტუდენტურ სერვისში, ყოველწლიურად, 3000 სტუდენტი იღებს მომსახურებას (თითოეული სესია, საშუალოდ, 50-წუთიანია, მომსახურება 1-დან 3 სესიამდე ხანგრძლივობისა). ამგვარი ხანმოკლე დახმარება შემთხვევითაა დიდ ნაწილში საკმარისია, რომ სტუდენტმა თავის ცხოვრებაში გარკვეული ცვლილებები განახორციელოს და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესოს.

სწორედ საერთაშორისო გამოცდილებასა და მტკიცებულებებზე დაყრდნობით შევქმენით, 2019 წელს, ილიაუნის სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრი – ილიაუნის პროფესორმა, ნინო მახაშვილმა და მე. იმ პერიოდისთვის, საქართველოში, ეს სტუდენტებისთვის ამოქმედებული ფსიქიკური ჯანმრთელობაზე ზრუნვის პირველი სერვისი იყო. მომსახურება უფასოა. ცენტრში დასაქმებულები უაღრესად კვალიფიციური ახალგაზრდა პროფესიონალები არიან, ილიაუნის ფსიქიკური ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები – თეკლა ლაბიბაშვილი, ანა მელნიჩენკო, თამარ მჭედლიშვილი და ანა პაპავა. ცენტრის მიზანია ილიაუნის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის სტუდენტთა დახმარება სტუდენტური ცხოვრებისთვის დამახასიათებელი დისტრესის, ფსიქოლოგიური და სოციალური სირთულეების გადალახვაში და შესაბამისად – ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში.

– როგორია მომართვიანობა და რას ურჩევთ იმ სტუდენტებს, რომლებსაც ჯერ არ მოუმართათ თქვენთვის?

– დღიდან დაარსებისა, ცენტრში მომართვიანობა მაღალია და გვაქვს ე.წ. „მოლოდინის სია“, რაც გულისხმობს იმას, რომ თუ ოთხივე კონსულტანტი დაკავებულია იმ მომენტში, როდესაც ცენტრს მომსახურების მიღების სურვილის მქონე სტუდენტი მიმართავს, დაცდას სთავაზობენ და როგორც კი თავისუფლდება ადგილი, ცენტრის თანამშრომელი ამის შესახებ ატყობინებს. საშუალოდ, 2-3 კვირა, მაქსიმუმ ერთი თვეა მოცდის ხანგრძლივობა. მოლოდინის სია მიღებული პრაქტიკაა დასავლეთის ქვეყნებში. რასაკვირველია, ეს ეხება იმ შემთხვევებს, სადაც მწვავე მდგომარეობა არ არის. ცენტრის მანდატი ფსიქოლოგიური დისტრესის სიმპტომებისა და გავრცელებული ფსიქიკური აშლილობების შემთხვევაში მომსახურებას გულისხმობს; მწვავე და/ან მძიმე ფსიქიკური აშლილობების შემთხვევაში, ხდება გადამისამართება უნივერსიტეტის გარეთ არსებულ შესაბამის სერვისებში.

– დამეთანხმებით, ალბათ, რომ ბევრი ვერ აცნობიერებს ფსიქიკურ პრობლემებს, ამ შემთხვევაში, როგორ მოვიქცეთ ჩვენ, გარშემომყოფები?

– საქართველოში ყველამ რომ გააცნობიეროს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები და მოინდომოს სერვისებში მიმართვა, მკურნალობის მოთხოვნას, ამ ეტაპზე, ქვეყანა ვერ დააკმაყოფილებს იმიტომ, რომ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე

ზრუნვის უწყვეტი ჯაჭვის შესაქმნელად, ჯერჯერობით, ინსტიტუციური მექანიზმები არ არის საკმარისად განვითარებული. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ძირითადად, მძიმე და მწვავე მდგომარეობების მკურნალობა ფინანსდება (რაც ძალიან კარგია და უფრო დიდი მასშტაბით უნდა დაფინანსდეს, ვიდრე ამჟამად არის, აქაც მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება ვერ ხდება). ამჟამად, საქართველოში, გავრცელებული ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მკურნალობა არ ფინანსდება. არადა, ამ პრობლემების ერთ-ერთი მთავარი რისკფაქტორია სიღარიბე, ადამიანებს არ აქვთ საშუალება, ერთ-საათიან სესიაში 50-70 (ხშირად მეტი) ლარი გადაიხადონ, კერძო სერვისებში მომსახურების მისაღებად. ამიტომ, თუნდაც ყველამ რომ გააცნობიეროს ფსიქოლოგიური თერაპიის საჭიროება, დახმარების მიღების საშუალება უმრავლესობას ვერ ექნება, თუ ჩვენს ქვეყანაში შესაბამისი ინსტიტუციური მექანიზმები და ზრუნვის ინფრასტრუქტურა არ განვითარდა.

– როგორ უნდა შევძლოთ პრობლემის (საკუთარი თავის) მართვა, გამკლავება?

– ვიყოთ საკუთარ თავთან კონტაქტში – მივაყურადოთ და მოვუსმინოთ ჩვენს თავს, არ უგულვებლევყოთ ჩვენი საჭიროებები, იქნება ეს ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ჯანმრთელობის საჭიროებები, შევეცადოთ, ვიყოთ ჰარმონიაში (გაეუნოთ ანგარიში და თან, ჩვენი ინტერესები და მოთხოვნილებებიც დავიკმაყოფილოთ) გარშემომყოფებთან და გარემომცველ სოციალურ და ფიზიკურ სინამდვილესთან.

ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობა ერთი მთლიანი სისტემაა, ერთი მეორეზე დამოკიდებულია. ამიტომ, საკუთარ თავზე ზრუნვა საკუთარ თავთან კარგი კონტაქტით იწყება, თვითგაცნობიერებით, საკუთარი თავის, გარემომცველი ადამიანებისა და გარემომცველი ფიზიკური თუ ფსიქოსოციალური სინამდვილის მიმართ კეთილგანწყობილი, შემწყნარებელი, გაფრთხილებაზე დაფუძნებული დამოკიდებულებით.

მნიშვნელოვანია ჯანსაღი ცხოვრების წესი და სტრესთან, რომლითაც სავსეა ადამიანის ცხოვრება (ეს ყოველთვის ასე იყო და არც 21-ე საუკუნეა გამონაკლისი), გამკლავების პოზიტიური სტრატეგიებით აღჭურვა. მაგალითად, ახლა ჩვენზე კოვიდთან დაკავშირებული სტრესორთა კომპლექსური სისტემა ზემოქმედებს, და მნიშვნელოვანია, რომ გამკლავების სტრატეგიები გვექონდეს ისეთი, რომელიც დამატებით პრობლემებს არ შეგიქმნის. სულ უბრალო მაგალითი: გამკლავებისთვის მნიშვნელოვანია ფიზიკური აქტივობები – მოძრაობა, ვარჯიში, გუნებათ – ცეკვა და სხვა. ბევრმა კულინარიას მიმართა და ესეც ძალიან კონსტრუქციული გამკლავებაა, რო-

მელიც ასევე ფიზიკური გამკლავების კლასს განეკუთვნება (საჭმლის მომზადებისას ფიზიკურად აქტიური ხარ, მოქმედებ), მაგრამ, თუ კეთებასთან ერთად ჭარბად მივირთვით ან ალკოჰოლის მიღება დავიწყეთ, ეს გამკლავების ნეგატიური სტრატეგიებია და ჭარბ წონასთან/ალკოჰოლთან დაკავშირებულ ჯანმრთელობის პრობლემებს მოგვითმის. ამიტომ, მნიშვნელოვანია, გაცნობიერებულად ვიყენებდეთ გამკლავების სტრატეგიებს და შესაბამისად, გვექონდეს ცოდნა გამკლავების სხვადასხვა სტრატეგიის შესახებ. ეს დაგვეხმარება შევფასოთ, რამდენად კონსტრუქციულ სტრატეგიას ვიყენებთ და მივხვდეთ, რომ გვეჭირდება ცვლილება. უაღრესად მნიშვნელოვანი და პოზიტიური გამკლავების სტრატეგიაა სოციალური ურთიერთობა, გაზიარება, სხვისი დახმარება, დახმარების ძიება და თხოვნა მაშინ, როცა ეს გჭირდება.

– რა ხდება ყველაზე ხშირად მოზარდებში დეპრესიის, ფსიქიკის დატვირთვის მიზეზი?

– ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებს ბევრი რისკფაქტორი აქვს – მოზარდობის ასაკში ეს, უპირველეს ყოვლისა, ასაკობრივი ფაქტორებია – გარდამავალ პერიოდში, ბავშვობასა და ზრდასრულობას შორის, ადგილი აქვს ჰორმონალურ ცვრებს, ფსიქოსექსუალური განვითარების შესაბამის ცვრებს, ასევე, ე.წ. იდენტობის კრიზისს – როდესაც მოზარდი ეძიებს თავის იდენტობას, „იზომებს“ სხვადასხვა იდენტობას, ექსპერიმენტირებს. ამ დროს მას ახასიათებს ე.წ. „ოპოზიციური ქცევა“, როდესაც უპირისპირდება ზრდასრულთა სამყაროს და ამ დაპირისპირებით ცდილობს საკუთარი თავის პოვნას. თუ მოზარდი დისფუნქციურ ოჯახშია, სადაც პრობლემების მართვის შესაძლებლობები დაქვეითებულია, თუ სკოლაში, რომელშიც ის დადის, არ არის ინკლუზიური, კეთილგანწყობილი კლიმატი და ბავშვის საჭიროებების სრულფასოვანი გათვალისწინებისა და დაკმაყოფილების შესაძლებლობა, თუ მის სამეზობლო თემში სიღარიბე და განვითარებისთვის მწირი გარემოა – ეს ყველაფერი ფსიქიკური ჯანმრთელობის და სხვა ფსიქოსოციალური პრობლემების განვითარების რისკებს ზრდის.

– ყველაზე უკეთ რა მეთოდი მუშაობს ფსიქიკურ პრობლემებთან?

– გააჩნია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემას. პანაცეა აქ არ არსებობს. მაგრამ რაც შეეხება ზრუნვის ჯაჭვს – ის უნდა იყოს უწყვეტი და მოიცავდეს შემდეგ რგოლებს:

➔ **ჯანმრთელობის პრომოცია** (სამწუხაროდ, ამ ტერმინს ქართული შესატყვისი არ აქვს), რაც გულისხმობს ჯანსაღი ცხოვრების წესის (ჯანსაღი კვება, დღის რეჟიმი, ფიზიკური ვარჯიში და ა.შ.) წინ წამოწევას, დანერგვას და შესაბამისი პი-



ინტერვიუ ფსიქოლოგთან

რობებისა და შესაძლებლობების შექმნას სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე. მაგალითად, თუ ვამბობთ, რომ კარგია ფიზიკური ვარჯიში, ეს ხელმძისაწვდომი უნდა იყოს მოსახლეობისთვის. ციურისში, შევიცარიაში (რომელიც უაღრესად ძვირი ქვეყანაა), საცურაო აუზის ერთი თვის აბონემენტი 5 ევრო ღირს, რაც საშუალო შევიცარიული ხელფასის აბსოლუტურად უმნიშვნელო პროცენტია (ალბათ, დაახლოებით, 50 თეთრის ეკვივალენტი). ჩვენთან ერთი თვის აბონემენტი ძვირი სიამოვნებაა, რომელზედაც მოსახლეობის უმრავლესობას ხელი ან ვერ, ან რთულად თუ მიუწვდება.

ჯანმრთელობის პრომოციის საქმეში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ჰაერის სისუფთავესა და ზოგადად საცხოვრებელი გარემოს ეკოლოგიაზე ზრუნვას, რისი ცნობიერებაც ჩვენთან, ზოგადად, არ არსებობს, მცირე გამოკვლევების გარდა სამოქალაქო აქტივისტების სექტორში.

➔ შემდგომი რგოლი ჯაჭვში არის პრევენცია, რომელიც, ერთი მხრივ, გულისხმობს სიღარიბესთან (როგორც ფსიქიკური ჯანმრთელობის ყველაზე მასშტაბურ რისკფაქტორთან) ბრძოლის პროგრამებს. ეს შესაძლებელია იყოს შემოსავლების გენერირება, მცირე და საშუალო ბიზნესის ნახალისება, ნებისმიერი პროგრამა, რომელიც დასაქმებაზე და მოსახლეობის სიღარიბიდან ამოყვანაზეა ორიენტირებული.

მეორე მხრივ, პრევენცია გულისხმობს ე.წ. უნივერსალურ პრევენციას და აქ სამყვანი როლი განათლების და ჯანდაცვის სამინისტროებს ეკუთვნის. მაგ., სკოლებში ცხოვრებისეულად

მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების (ემოციური რეგულაცია, პრობლემების მართვა, სოციალური ურთიერთობები და სხვ.) გასავითარებლად შესაბამისი ექსტრაკურსული პროგრამების დანერგვა პრევენციული მუშაობის მნიშვნელოვანი ფორმატია. უნივერსალურ პრევენციაში დიდი წვლილის შეტანა შეუძლია პირველადი ჯანდაცვის რგოლს – ოჯახის ექიმებს, რომლებიც, მაგალითად, დასავლეთის ქვეყნებში აღჭურვილი არიან შესაბამისი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით იმისთვის, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების პირველადი სკრინინგი გააკეთონ და შესაბამისი პრევენციული, 5-15-წუთიანი, ინტერვენცია განახორციელონ. ეს პრევენციის მტკიცებულებითი მეთოდია, რომელიც ჩვენთან ჯერჯერობით არ არის დანერგილი.

პრევენციის კიდევ ერთი ფორმატია მიზანმიმართული პრევენცია, მაგ., ემოციური და ქცევითი პრობლემების მქონე ბავშვებისა და მოზარდებისთვის მულტიდისციპლინური სერვისების ამოქმედება. ამგვარი სერვისების დახმარებით, ფსიქიკური სიმპტომების გამკლავებაზე ზრუნვით, მათ აშლილობაში გადასვლას ავიცილებდით თავიდან.

➔ ზრუნვის ჯაჭვის უკვე შემდეგი რგოლია მკურნალობა იმ შემთხვევებისთვის, სადაც უკვე ფსიქიკური აშლილობა, მისი სინდრომი ჩამოყალიბებულია. აქ მკურნალობის მეთოდები დივერსიფიცირებული უნდა იყოს. იმდენი ეფექტური მეთოდია, მორგებული სხვადასხვა დაავადებაზე, სხვადასხვა ასაკსა და გენდერზეც კი, რომ „რომელია ყველაზე ეფექტური“ –

შეკითხვაზე პასუხის გაცემისგან თავს შევიკავებ. უბრალოდ ვიტყვი, რომ მეთოდი, რომელსაც ვიყენებთ როგორც მკურნალობაში, ასევე პრევენციაში, მტკიცებულებაზე დაფუძნებული უნდა იყოს, ანუ უნდა არსებობდეს სამეცნიერო კვლევის შედეგები იმის თაობაზე, რომ ის ეფექტურია, და თუ არ არსებობს, უნდა ვიზრუნოთ, რომ ვიკვლიოთ და დავადასტუროთ, რომ რასაც ვაკეთებთ, უპირველეს ყოვლისა – არ ვნებს ადამიანს, და უკვე შემდეგ – ეფექტურია იმ პრობლემის სამკურნალოდ, რომლისთვისაც ვიყენებთ.

➔ ზრუნვის შემდგომი რგოლი რეაბილიტაციაა, სადაც ასევე ბევრი სხვადასხვა მეთოდი იყოს თავს. აქ დეტალებში აღარ შევალ და მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ რეაბილიტაცია უნდა იყოს მიმართული ადამიანისთვის აქტიური და ხარისხიანი ცხოვრების შესაბამისი შესაძლებლობების შექმნაზე.

რომ დავაჯამო, დღევანდელი მიდგომა ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის საქმეში (იქნება ეს ბავშვი, მოზარდი, ახალგაზრდა/სტუდენტი თუ ზრდასრული), ეს არის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვის უწყვეტი ჯაჭვის შექმნა, მისი შესაბამისი რგოლების ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვა (ამა თუ იმ დონის სერვისის შექმნა, მისი დაფინანსების უზრუნველყოფა, მისი გეოგრაფიული, ფინანსური და ასაკობრივი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა) და ზრუნვის მტკიცებულებითი მეთოდების გამოყენება.

ესაუბრა მაქა ყიფიანი

თვალსაზრისი

სახელმწიფო ენის სწავლების პრობლემები საქართველოში



ნანია მალაქაძე განათლების მენეჯერებთან დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის პროფესორი

თუ პოლიტიკური ფაქტორებით. მიზეზები ორივეგან არის. ჯერჯერობით ვერ უშველა ამ საქმეს ვერც უამრავმა გრანტმა და სწავლების უახლესი მეთოდებით შედგენილი ქართული ენის ძვირადღირებული სახელმძღვანელოების გამოცემაზე, ვერც პედაგოგთა გადამზადება-გადამზადების ძვირადღირებულმა პროგრამებმა, ვერც ნაირ-ნაირმა სასწავლო პროექტმა (მაგ. „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთვის“, რომელიც არაქართულ სკოლებში სასწავლო პროცესში ქართულენოვანი პედაგოგ-ბაკალავრების ჩართვას ითვალისწინებდა...), ვერც ე.წ. „ბილინგვური სწავლების“ მოდელის დანერგვამ.

ამ საგაზეთო წერილში, ამჯერად, მხოლოდ სწავლების პრობლემებს შევეხებით. აზერბაიჯანელებით კომპაქტურად ჩასახლებულ რაიონებში (მარნეული, გარდაბანი) ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვით შევეცადეთ დაგვედინა, რა უშლიდათ ხელს სახელმწიფო ენის დაუფლებაში. პასუხები ასეთი იყო:

1. მასწავლებლების კვალიფიკაციის დაბალი დონე: უმრავლესობა თავადაც ვერ ფლობს სახელმწიფო ენას სათანადო დონეზე; თუ ფლობს, არ აქვს მიღებული პედაგოგიური განათლება და არასპეციალისტია; ბევრს საბჭოთა პერიოდში აქვს მიღებული პედაგოგიური განათლება და ამის შემდეგ გადამზადება არ გაუვლია...
2. სკოლის უზარუნობა: სასწავლო რესურსების ნაკლებობა, ნაკლები მოთხოვნები ქართული ენის პედაგოგების მიმართ, უყურადღებობა სკოლის დირექტორების მხრიდან...
3. სახელმძღვანელოების არაეფექტურობა: არ არის მათში შეტანილი მოსწავლეთათვის საინტერესო საკითხავი მასალა, გადატვირთულია მათთვის გაუგებარი გრამატიკული კატეგორიებით; თითქმის მთლიანად არის გამორიცხული საკონტაქტო ენა, რაც აგრეთვე ძალიან ურთულესს მოსწავლეს დაბოლოებული მუშაობას; ნაკლებად არის გამოყენებული მოსმენის კომპონენტი...
4. ქართულ ენაზე კომუნიკაციის არარსებობა/ნაკლებობა;
5. სახელმწიფო ენის ცოდნის გაუზარებლობა – მოტივაციის არქონა.

(კვლევა ჩატარდა 2021 წლის იანვარ/თებერვალში, მონაწილეობა მიიღო 111-მა რესპონდენტმა, კვლევა ჩატარეს განათლების სკოლის სტუდენტებმა: ავსანე ხალილოვამ და აიგულ ნაზაროვამ).

დაახლოებით მსგავს მიზეზებს ასახელებენ ადგილობრივი მაცხოვრებლები სომხებით კომპაქტურად ჩასახლებულ ჯავახეთის ტერიტორიაზეც. ეს არის:

- ა) მასწავლებლების დაბალი ენობრივი კომპეტენცია;
 - ბ) სახელმძღვანელოების გაუმართაობა;
 - გ) ბილინგვური სისტემის ნაკლოვანი მხარეები (ყველა საგანში საჭირო გახდა, სულ მცირე, 2 მასწავლებელი. ერთს ქართულად უნდა აესწნა მასალა, მეორეს – მშობლიურ ენაზე. საბოლოოდ დარჩა მხოლოდ ერთი მასწავლებელი, რომელიც გაკვეთილის „ქართულ ნაწილს“, როგორც წესი, უგულებელყოფს);
 - დ) სერტიფიცირებულ პედაგოგთა სიმცირე.
- როგორც ამ გამოკითხვიდან ჩანს, რესპონდენტთა უმრავლესობა, მასწავლებელთა კვალიფიკაციის დაბალ დონეს თვლის სახელმწიფო ენის უცოდინრობის მთავარ მიზეზად. მათ დიდ ნაწილს არ აქვს მიღებული პედაგოგიური განათლება, არ აქვს სათანადო ენობრივი კომპეტენციები და რაც ყველაზე სამწუხაროა, ხშირად ქართული ენის გაკვეთილი აზერ-

ბაიჯანულად/სომხურად ტარდება. პედაგოგები ამას იმ ფაქტით ხსნიან, რომ მოსწავლეებმა საერთოდ არ იცან ქართული ენა, უჭირთ მათთან კომუნიკაციის დამყარება.

პირადად ჩვენც, სახელმწიფო ენის არცოდნის მთავარ მიზეზად მივიჩნევთ ამ დარგში კვალიფიკური პედაგოგიური კადრების სიმცირეს, უფრო სწორად – არარსებობას. დღეს საქართველოს არც ერთ უმაღლეს სასწავლებელში არ მზადდება ქართული ენის მასწავლებლები ამ სკოლებისათვის. ხოლო ის მასწავლებლები კი, რომლებიც ქართული სკოლებისთვის მზადდებიან, თავს ვერ გაართმევენ იმ გამოწვევებს, რომლებიც ამ სკოლებში ხვდებოდათ. არავისთვის არ არის საკამათო, რომ მშობლიური და უცხო ენის/მეორე ენის მასწავლებლების მომზადება განსხვავებული მეთოდებითა და სასწავლო გეგმით უნდა, კარგია, რომ არაქართული სკოლების ქართული ენის მასწავლებლებს, 2013 წლიდან, ეძლევათ თავიანთი ცოდნის დადასტურების შესაძლებლობა სასერტიფიკატო გამოცდაზე, კარგია ისიც, რომ მოქმედებს მასწავლებელთა გადამზადების 60-კრედიტიანი პროგრამა, მაგრამ ეს სურათს ჯერ ვერ ცვლის.

რაც შეეხება სახელმძღვანელოებს, აქაც არის პრობლემები, რომლებიც მათმა ავტორებმა სამომავლოდ უნდა გაითვალისწინონ.

დავამატებდი კიდევ ერთ საკითხს – ეს არის რამდენიმე ენის ერთდროული სწავლება. ამ სკოლებში, მშობლიურ ენასთან ერთად (აზერბაიჯანული, სომხური, რუსული), პირველივე კლასიდან ისწავლება ქართულიც, როგორც სახელმწიფო ენა, და უცხო ენა, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში ინგლისურია; მე-5 კლასიდან კი, ამას არჩევით ემატება მეორე უცხო ენა (რუსული, გერმანული, ფრანგული...). ამგვარად, უკვე პირველ კლასში, 6 წლის მოსწავლეს, ერთდროულად, უნევს სამი ენის შესწავლა, ხოლო სკოლის დამთავრებისას კი მას, სხვადასხვა დონეზე, 4 ენის ფლობა მოეთხოვება. აქ არ შევეუდგები საუბარს იმის შესახებ, თუ რა სირთულეებს ვაწყდებით რამდენიმე ენის ერთდროული სწავლისას. შედეგი ის გახლავთ, რომ სკოლის კურსდამთავრებულმა, მშობლიური ენის გარდა, თითქმის არც ერთი ენა არ იცის.

ბოლო წლებში შეიმჩნევა სასიკეთო ძვრები, რომლებიც ხელს უწყობენ არაქართულ მოსახლეობას, მიიღოს უმაღლესი განათლება. ამოქმედდა პროგრამა „1+4“ (ქართულ ენაში მოსამზადებელი 60-კრედიტიანი კურსი+ბაკალავრიატი). აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, აბიტურიენტები უმაღლეს სასწავლებელში ირიცხებიან მხოლოდ უნარების გამოცდით, რომელსაც მშობლიურ ენაზე აბარებენ. მინიმალური ბარიერის გადალახვის შემდეგ ისინი გადიან ერთწლიან სავალდებულო კურსს ქართულ ენაში და შემდეგ სწავლას აგრძელებენ სასურველ ფაკულტეტზე. ყველა სახელმწიფო უნივერსიტეტი ამ სტუდენტების ქართულ ენაში მომზადებას განსხვავებული, ინდივიდუალური პროგრამით წარმართავს.

ასეთი პროგრამა გვაქვს ილიას უნივერსიტეტშიც, რომლის კურსმოსმენილებიც შემდეგ სწავლას აგრძელებენ ამავე უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტზე, მათ შორის – განათლების მიმართულებით.

პირადად მე არაქართული სტუდენტების სიმცირეს ნამდვილად არ ვუჩივი. ყველა ჯგუფში მყავს რამდენიმე თინიკური არაქართული სტუდენტი, რომელთაც არაქართული სკოლები აქვთ დამთავრებული. მათმა ძალიან დიდმა ნაწილმა, 60-კრედიტიან პროგრამაზე ჩარიცხვამდე, საერთოდ არ იცოდა ქართული ენა. უჭირთ თუ არა მათ ქართულ სექტორზე სწავლა? რა თქმა უნდა, უჭირთ. მაგრამ იმდენად დიდია მათი მოტივაცია, რომ საკმაოდ კარგ შედეგებს აღწევენ. ეს კი იმედს გვაძლევს, რომ სულ მალე უკეთესი შედეგები გვექნება სახელმწიფო ენის ფლობის თვალსაზრისით.

სადამრიგებლო საათი

ჩემი სოფლის წარსული და აწმყო

მე ვარ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მარია ბარამიძე. სულ 3 წელია, რაც დანდალოს საჯარო სკოლაში დავიწყე მუშაობა, ჩემთვის დიდი სიამოვნებაა ბავშვებთან ურთიერთობა, მათი ემოციების გაზიარება, სხვადასხვა ინფორმაციის მიწოდება და აქტივობების შეთავაზება.

დადგა ნანატრი გაზაფხული, მივდივარ სკოლაში და თვალწინ გადამეშალა ჩვენი სოფლის ულამაზესი ბუნება. მივუყვები გზას, თვალს ვავლებ ყვავილებს, გზად მორაკრაკე ნაკადულს, ხეებს, მოვილილ ეზო-კარს, სახლებს, ეზოში მოფუსფუსე ქალბატონებს და სკოლაში მიმავალ მოსწავლეებს, რომლებსაც გულიანი საუბარი გაუბამთ.

შევდივარ სკოლის ეზოში, რეგულაციებიდან გამომდინარე, გავდივარ სკრინინგს და შევდივარ სამასწავლებლოში. ჩემთვის ერთი სიხარულია სკოლაში ყოფნა და მოსწავლეებთან პირისპირ საგაკვეთილო პროცესის წარმართვა, ისინიც დიდად მოხარული არიან, რომ სკოლის კარი გაიღო. ირეკება ზარი, შევდივარ მე-7 კლასში და საგაკვეთილო თემიდან გამომდინარე, ვინცე საუბარს საქართველოზე, ჩვენს კუთხეზე, მის მომავალზე, ვისხენებთ ისტორიას. გაცეკვრით საკლასო ოთახის ფანჯრიდან ბუნებას, თამარ მეფის ნაშენს მთაზე, რომელიც გაზაფხულზე მეტად მორთულ-მოკაზმულია.

კლასსაათის ფარგლებში დავგეგმეთ თემა: „ჩემი სოფლის წარსული და აწმყო“. მოსწავლეები დავყავი ჯგუფებად: ზოგს სოფელ დანდალოს ისტორიული მოვლენების მოძიება დაევა, ზოგს – ბუნების ამსახველი და სოფლის ღირსშესანიშნავი ადგილებისა და სამუზეუმო ექსპონატების ფოტოების გადაღება, ზოგსაც – დანდალოში არსებული უბნების ტოპონიმების მოძიება. ინფორმაციას დამოუკიდებლად აგროვებდნენ, ხოლო დახარისხებასა და გაფორმებაში ვეხმარებოდი ჯგუფებს. ამგვარი მიდგომით შექმნილი, სადამრიგებლო საათის თითოეული ჯგუფის ნამუშევარი ერთმანეთისთვისაც საინტერესო ყოფილიყო.

სადამრიგებლო საათის დასასრულს, ერთმანეთს ემოციები გავუზიარეთ. ეს იყო სხვა თვალთ დახეული სოფელი, რომელშიც ვცხოვრობთ. აღვნიშნეთ, როგორი ისტორიული წარსული გვქონია და რა პერსპექტივა გვაქვს.

მოსწავლეებმა სიამოვნებით იმუშავეს. მოპოვებული ინფორმაცია დავახარისხეთ და სადამრიგებლო საათისთვის პრეზენტაცია მოვაამაღეთ.


შემოგთავაზებთ სადამრიგებლო საათის სცენარს:

დანდალო



დანდალო – სოფელი საქართველოში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქედის მუნიციპალიტეტში, დანდალოს თემის ცენტრი (სოფლები: ბალაძეები, გოგიაშვილები, დანდალო, მოსიაშვილები, ტაკიძეები, ხარაულა, ჯალაბაშვილები). 2014 წლის აღწერის მონაცემებით, სოფელში 347 ადამიანი ცხოვრობს.[1] პირველად დანდალო მოხსენიებულია სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა სამრევლოების აღწერილობათა წიგნში (XVI საუკუნე).

მდებარეობს აჭარის ქვაბულში, მდინარე აჭარისწყლის მარცხენა მხარეს, ტაფობში, რომელიც საკმაოდ ვრცელ ველს წარმოადგენს. დანდალო ერთმანეთისგან ჰყოფს ზემო და ქვემო აჭარას. სოფელში არის შუა საუკუნეების დანდალოს ხიდი. სოფლის განაპირას, აღმოსავლეთით, მაღალ კლდეზე დგას გვიან ფეოდალური ხანის კაიხანის ციხე.



სულხან-საბა ორბელიანი „სიტყვის კონაში“ ახსენებს სიტყვას „დანდალი“, რომელიც ორნაირად აქვს განმარტებული:

- ლაგამი ანუ პირის მახე**
სახელწოდება „დანდალი“ ხიდის აგების, მდინარის დამორჩილების, მისთვის ლაგამის ამოღებისაგან უნდა იყოს წარმომდგარი.
- კიბისა თუ ურმის სახიდარი**
ამ მეორე განმარტებას იზიარებს ნიკო ჩუბინაშვილიც –

„დანდალი კიბეთ შუა სიგანეზედ გახიდულნი საფეხურნი ფიცარნი“.

3. სარძიეში სიგრძე გადებული ძელები
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შ. ნიჭურაძე სულ სხვანაირ განმარტებაზე მიანიშნებდა: „დანდალი სარძიეში სიგრძე კედლების გასწვრივ გადებული ძელები, რძის პროდუქტებისა და ჭურჭლის დასახელებად. დანდალს, ჩვეულებრივ, იაილესა და ყიშლებში აკეთებენ“. მისივე აზრით, სოფლის სახელი „დანდალო“ მისი გეოგრაფიული თავისებურებიდან წარმომდგარი უნდა იყოს, მას შემადგენელი ტერასისებური მდებარეობა აქვს. ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ მიხედვით „დანდალო“ აშოტ კურაპალატის დროიდან მოიხსენიებოდა და IX-Xს-ის დროინდელ საქართველოს რუკაზე ყოფილა დატანილი.

ვახუშტის ცნობით: „მთელი აჭარა, დანდალოს ზემოთ და დანდალოს ქვემოთ, აწმელს ექვემდებარებოდა“.

აქედან ჩანს, რომ დანდალო იყო საზღვარი ქუთაისისა და ტბეთის საეპისკოპოსოებს შორის; მოგვიანებით, IX ს-ის მოგზაურთა ცნობებით, დანდალო საზღვარია ზემო და ქვემო აჭარას შორის. დღევანდელი დანდალოს თემის ტერიტორიაზე დასახლების ნაკვალები უხსოვარი დროიდან ჩანს.

გასული საუკუნეების 50-იან წლებში, დანდალოში ჩატარებული ექსპედიციის დროს, მკვლევრებმა ქვაკაცებს მიაგნეს. სოფელ დანდალოს სამხრეთით, „ყალივაკის“ ტერიტორიაზე, ციხის ნანგრევებში, უპოვიათ ადამიანის ნეკს ზევითა ფიგურის მსგავსი ორი ქვა – პირველი – დიდი, მეორე – უფრო პატარა. პირველი ამჟამად აჭარის სახელმწიფო მუზეუმში ინახება, როგორც წარმართული სარწმუნოების ძეგლი. აჭარაში მას „ქვაკაცას“ ეძახიან.

„ქვაკაცა“ გამოთლილია ტუფის ქვისაგან, სიმაღლე – 87სმ, სიგანე – 42სმ, თავის არეში – 25სმ. ფიგურას დაზიანებული აქვს ცხვირი, პირი და ნაწილობრივ ყური. აქვეა აღმოჩენილი ყოჩის თავი, რომელიც ქვაზეა გამოქანდაკებული და უძველესი პერიოდით თარიღდება.

მნიშვნელოვანია ქრისტიანული ნაკვალები – ეკლესიის ნანგრევები „ყალივაკის“ ტერიტორიაზე. საინტერესოა, გასული საუკუნის 60-იან წლებში, სოფელ ხარაულის ბარების უბანში აღმოჩენილი საფლავის ქვა წარწერით: „შეიწყალე ქრისტე გიორგი“. ეს ქვა აჭარის სახელმწიფო მუზეუმში ინახება და XI საუკუნითაა დათარიღებული. მნიშვნელოვანი ძეგლია, აგრეთვე, სოფ. დანდალოს სათემოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ჯვარი, ქვევრები და გასული საუკუნის 50-იან წლებში, ოტოლაძეების უბანში, აღმოჩენილი მარანი საწმინდოების ძეგლი.

დანდალოს მიკროტოპონიმიკაში ასევე შემორჩენილია სახელები: მათენაური, ჯანივრი, კოლოშარი, ჭიჭინური, კემისი, ზენთაური (უძველესი ყურძნის ჯიშებიდან – მათენაური, ჯანი, კოლოში, ჭიჭინური, კუმისი, ზენთაური), ნაჯვარევი, ჯვარიმინდორი, ნასაყდრალი, ნაქილისვარი, რომელთა ფუძეებშიც მოიაზრება ჯვარი, საყდარი და ეკლესია.

ყალივაკი



ყოჩის გამოსახულება

ძველ დროს, ხით ნაგები მონასტერი მდგარა თურმე ქედაში, სოფელ დანდალოს გაღმა, ტაკიძეთა უბნის ახლოს, დიდ მინდორში, „ივანეს ვაკობსა“ და „ბაგრატის აულს“ შუა. დანდალოსა და კოკოტაურის ზღვართან კი, თემი ყოფილა. ამ ადგილს ამჟამადაც „სათემო“ ჰქვია, ხოლო ნაშენსტრევეს აქაურები ახლა „ნაჯვარევეს“ ეძახიან. ჩვენს წინაპრებს ოსმალო მოძალადეები მონასტერში შესვლას და ლოცვას უკრძალავდნენ. ხალხი არ ლაღატობდა სარწმუნოებას, მაინც დადიოდნენ და აღავლენდნენ ლოცვას. ეს ამბავი ოსმალებმა გაიგეს და ეს ეკლესია ცეცხლს მისცეს. აღმოჩენილია ქვაზე ამოკვეთილი ჯვარი, რომელიც ქედის მუზეუმში ინახება.



არსად ერთი კაციც არ დარჩენილა, ბავშვი და სხვანი მთლად დახოცეს, განყვიტეს... ვინც დარჩა, ისიც ოსმალებით ვარე-

ქვს. მთლად დანდალო ცარიელი დარჩა, სახლები, სოფლები უპატრონოდ იყო დაშთენილი და შიგ არ იყო მცხოვრები.“ – ნერდა ზ. ჭიჭინაძე.

სოფელ ხარაულის უზუცესი მცხოვრების, მუხამედ განდელიძის ნაამბობის მიხედვით, „დანდალოს ხიდზე ოსმალოს ხატები დაუწყვია და უბრძანებია, მცხოვრებთ გადაეკლათ მათზე. ვინც გადავილიდა, ცოცხლებს ტოვებდნენ, ვინც არა, თავებს კვეთდნენ და წყალში ყრიდნენ, ნილად შეღებილა მდინარე აჭარისწყალი. დანდალო გაუკაცრიელეულა“. ამის შემდეგ დანდალოში ჩამოსულა თევდორე ავალიანი (თუ ავალიშვილი), რომელსაც, ზ. ჭიჭინაძის მიხედვით, იმერეთის მეფისაგან სიკვდილი ჰქონდა მისჯილი და გამოქცეულა. ავალიანი აზნაური ყოფილა. აჭარელი ბეგების დახმარებით, მოხვედრილა სულთნის კარზე, რომელმაც ბეგობა მისცა და დანდალოც დაუმტკიცა საკუთრებად. გამუსლიმანებული თევდორე უკან გამობრუნებულა იმ პირობით, რომ თავისიანებს ჩამოიყვანდა გაუკაცრიელეულ, დაგრეულ სოფლებში.

ჯერ საიდუმლოდ ჩამოჰყვინენ გლეხები სხვადასხვა გვარისანი: ჯალაბაშვილი, ველიაშვილი, გიორგაძე, გოგიაშვილი, გეგელიძე, არზანაშვილი, ბალაძე, ზაქარაშვილი, კიკაშვილი, ბაბუჩაშვილი, ძანაძე და სხვანი. მათ დანდალო ძლიერ მოსწონებიათ და ცოლ-შვილიც ჩამოუყვანიათ. თითო გვარს თითო სოფელი მიუღია და დასახლებული პუნქტებისთვის სახელადაც თავიანთი გვარები მიუციათ. დანდალოს ახალ მოსახლეობაში ქრისტიანული რიტუალების შესრულება, თანდათანობით, რა თქმა უნდა, დავიწყებას მისცემია, მაგრამ დედებს ამ მხრივაც გამოუჩენიათ სიფხიზლე – საუკუნეების განმავლობაში, ქალები მჭადს რომ აკრავდნენ, კეცზე ან მჭადზე ჯვარს გამოსახავდნენ.



აღდგომის დღეებში ყოველთვის ლეზავდნენ კვერცხებს, თუმცა არ იცოდნენ, რატომ, წინაპრებიდან მოდისო, ამბობდნენ.

დანდალოს ისტორიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკუთრივ დანდალოს თაღვანი ხიდი და კაიხანის ციხეა.

შ. ვარშანიძე, თავის წიგნში „ნარკვევები შუა საუკუნეების აჭარის ისტორიიდან“, გამოთქვამს მოსაზრებას, რომ დანდალოს ხიდი V-VII საუკუნეებშია აგებული. პროფესორი დ. მშვენიერაძე ავითარებდა აზრს, რომ დანდალოს და მახუნციეთის ხიდები IV-V საუკუნეებს ეკუთვნის. თუმცა კი, მოსახლეობა „თამარ მეფის“ ხიდს ეძახის, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ დანდალოს ხიდი XII საუკუნის ძეგლია.

დანდალოს ხიდი – თაღვანი ხიდი მდინარე აჭარისწყალზე. მდებარეობს აჭარაში, ქედის მუნიციპალიტეტში, სოფელ დანდალოს მახლობლად, შვიი ზღვის სანაპიროდან ახალციხეში მიმავალ ძველ დიდ მაგისტრალზე. იგი სახიდე-სამშენებლო ხელოვნების უნიკალური ძეგლია.

ხიდის აღწერა



დანდალოს ხიდი ნაგებია ადგილობრივი კირქვითა და კირის დულბით. ორივე ბურჯი დადგმულია კლდეზე, რაც მას ძირის გამორეცხვისაგან იცავს.

ხიდის სიგრძეა 34,5მ, სიგანე თავბანდთან – 2,80მ (ლავეგარდნის გადმოწევიანად), მისასვლელთან ხიდის მარცხენა შესასვლელის სიგანე – 4,70მ, სიგრძე – 10მ, მარჯვენასი – 3,50მ, სიგანე (ძველი ნაგებობის მიხედვით) – 2,40მ, მალი – 21მ, ისარი – 4მ; ბურჯის სიმაღლეა 4,6მ, სიგანე – 4,55მ. იმავე ბურჯზე ორ რიგადაა დატანილი ფოსოები. თითო რიგში სამი ფოსოა. ფოსოს ზომებია 50x60; 55x52. ფოსოების ნაპირიდან დაშორება – 35მ, ფოსოებს შორის მანძილი – 38მ, ლავგარდნის სისქე – 10-14სმ.

ხიდი ლათინურ ასო S-ს ჰგავს. სამშენებლო ტექნიკის თვალსაზრისით, ასეთი ფორმის ხიდის აშენება გაცილებით რთულია, რადგანაც დატვირთვები არათანაბრად ნაწილდება.

2006 წელს, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, ხიდს ეროვნული მნიშვნელობის კულტურის უძრავი ძეგლის კატეგორია მიენიჭა.

სადამრიგებლო საათი

კავიანის ციხე

გადმოცემით, კავიანი ციხეს იმიტომ ჰქვია, რომ მხოლოდ კავით შეიძლება მასზე ასვლა.

საფორტიფიკაციო ნაგებობა, ქედის მუნიციპალიტეტში, კავიანის სერზე მდებარეობს, მდინარე ჭვანისწყლისა და აჭარისწყლის შესართავის მარცხენა მხარეს.

კეზლის აღწერა

ციხე ორი განყოფილებისაგან შედგება. პირველი განყოფილება, ჩვენამდე მოღწეული ფოსოების მიხედვით, შეიძლება ყოფილიყო რაღაც დანიშნულების სათავსო, რომელიც, სავარაუდოდ, სამსართულიანი უნდა ყოფილიყო.

ციხის მეორე განყოფილებაში, რომლის ფართობი 112მ²-ს შეადგენს, კარგადაა შემონახული ჩრდილოეთის კოშკი, რომელიც არანესიერი მართკუთხედის ფორმისაა და სამი სართულისაგან შედგება. კოშკში ჩაყოლებულია სარკმლები. შედარებით კარგადაა შემონახული ციხის ეზოს დასავლეთი კედელი, რომლის სიგრძე 7,1 მეტრია, ხოლო სიმაღლე – 5 მეტრი. ციხე აშენებულია ფლეთილი ქვებით, შიგადაშიგ რიყის ქვებით გვხვდება. კავიანის ციხე ხეობისა და ხიდის დაცვის და გუშაგების ადგილსამყოფელის ფუნქციას ასრულებდა.

ლეგენდა

ქედის რაიონში, სოფელ ჯალაბაშვილების განაპირას აშენებულ ციხე-კოშკთან ერთი ლეგენდა ყოფილა დაკავშირებული, რომელსაც პოეტი ემენ დავითაძე აღწერს თავის წიგნში „სოფლის აღმშენებელი“.

ტაურში გაუშლია კარგები. მხოლოდ მდინარე ყოფდა დაპირისპირებულ მხარეებს. ცადატყორცნილი და მოწვდომელი კავიანის ციხე-სიმაგრე ერთი დღე-ღამის განმავლობაში აღუშარ-თავს სწორუპოვარ თამარს. ის იყო, უთენია, რუქნადინი კარვიდან გამოსულა, რომ მის ფერხითი ციხიდან გადმოსროლილი ისარი დასობილა, ზედ წერილი ყოფილა მიმარებული: „თუ ახლავე შენი ფეხით გაეცლები ჩემს წმინდა ქვეყანას, შენც და შენს ჯარსაც სიცოცხლეს გაჩუქებთო,“ – ინერებოდა თამარი.

მრისხანებისგან აკანკალებულა „მოძალადე სასიძო“ და ის იყო ბრძანება უნდა გაეცა, რომ მოახსენეს: გურჯთა დედოფალს ამ ღამით ისეთი ციხე აუგია, ჩვენ წლობით რომ ვერ ვაშენებთ... აქედან თუ სულს გაეიტანთ, ღმერთის ნყალობად ჩავთვლითო. გაუხედავს სულთანს და გულს შემოჰყრია, სწორედ ამ დროს ზუზუნით გადაუვლია გასაფრთხილებლად გამოსროლილ უთვალავ ცეცხლოვან ისარს მის თავზე. ჭკუისთვის მოუხშირა რუქნადინს, აუყრია ლაშქარი და გასცლია იქაურობას.

დანდალოში დაიბადა და მოღვაწეობდა ცნობილი პოეტი გურამ არძენაძე, რომელმაც დანდალოს ლექსი მიუღვნა. აქვეა იაკობ გოგებაშვილის სახელობის დანდალოს საჯარო სკოლა და დანდალოს საჯარო სკოლა.



დანდალოში არის ბაგა-ბაღი, რომელიც სრულფასოვნადაა აღჭურვილი და აკმაყოფილებს სკოლამდელ საგანმანათლებლო სფეროში დადგენილ მოთხოვნებს.

ლო სფეროში დადგენილ მოთხოვნებს.



აქვეა სილამაზით გამორჩეული ჩანჩქერი. სოფელი არ წყვეტს განვითარებას. სულ უფრო და უფრო მეტად უწყობს ფესს თანამედროვეობას. დანდალო ტურისტული ზონაა, აქ მუდმივად მოდიან ტურისტები სხვადასხვა კუთხიდან და ეცნობიან აქაურ გარემოს, ტრადიციას, ფოლკლორს, სამზარეულოს, აგემოვნებენ ღვინოს.

კლასსაათის ჩატარებაში განეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით დანდალოს საჯარო სკოლის დირექტორს, ბატონ მურმან კონცელიძეს, კლასის დამრიგებელს – დიანა არძენაძეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024 წწ (კლასის დამრიგებელი);
- ემენ დავითაძე – სოფლის აღმშენებელი;
- თამაზ აბულაძე – ორი სოფლის ჩირაღდანი.

ფონდი „სოხუმი“


განხეთქილების დაძლევა: ახალგაზრდების როლი მშვიდობის მშენებლობაში

უკვე სამი თვეა, რაც კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“, ასოციაცია „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასიისათვის“ პარტნიორობით და USAID-ის მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს „განხეთქილების დაძლევა – ხალხთა შორის ინიციატივები კონფლიქტის მოგვარებისთვის“. პროექტი 2021 წლის თებერვალში დაიწყო და გამიზნულია კონფლიქტით გაყოფილ საზოგადოებას შორის ნდობის აღდგენისკენ (აფხაზ და ოს პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად), კომუნიკაციის გაუმჯობესებისა და თანამშრომლობის ხიდების მშენებლობისკენ.

პროექტი გამოირჩევა მრავალკომპონენტით და მოიცავს სამოქალაქო საზოგადოების, ახალგაზრდებთან მუშაობის, სამედიცინო და ეკონომიკის მიმართულებებს. განსაკუთრებით იმსახვობრივი კი ამ პროექტში ახალგაზრდებთან მუშაობის კომპონენტია. ამ ეტაპზე, პროექტის მონაწილე მოსწავლეებს უტარდება ტრენინგები თემაზე: აფხაზურ-ქართული კონფლიქტის ანალიზი, რომელსაც უძღვება მონვეული ტრენინგი, კონფლიქტოლოგი ქეთი ვასაძე. ტრენინგები უკვე ჩატარდა წყალტუბოს, ნალენჯისის, კოკისა და სენაკის მუნიციპალიტეტების ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფის წევრებთან. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული ტრენინგებში, სვამენ კრიტიკულ და მნიშვნელოვან შეკითხვებს, ავლენენ აფხაზური პერსპექტივით საკითხების დანახვისა და განაალიზების უნარს, გამოთქვამენ აფხაზ თანატოლებთან შეხვედრისა და კომუნიკაციის სურვილს.

რამდენად ღირებულია ტრენინგზე მიღებული ცოდნა-გამოცდილება და რაში დაეხმარება მომავალში, რას ფიქრობენ ტრენინგის მონაწილე მოსწავლეები აფხაზ და ოს თანატოლებზე, რას ეტყობენ მათ და, ზოგადად, რა შესძინათ პროექტმა. გიზარებთ მათ შთაბეჭდილებებს:

- „ამ ტრენინგმა ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო ინფორმაცია მიმანოდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტისა და მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ. დიდი სურვილი მაქვს, მქონდეს კომუნიკაცია თანატოლ აფხაზებთან და შევძლოთ ჩვენი შეხედულებების ერთმანეთისთვის გაზიარება.“
- „დღევანდელი ტრენინგი ჩემთვის საკმაოდ ინფორმაციული იყო, საინტერესო იყო ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ისტორიის უფრო დეტალურად გაცნობა. ჩემი გზავნილი აფხაზ თანატოლებთან შემდეგია: ჩვენი მომავალი ჩვენს ხელშია და ყველანაირად უნდა ვეცადოთ, ვიყოთ ერთად, ძლიერები, როგორც ადრე. ჩვენ ერთობლივი ძალებით შევძლებთ აღმოგვჩვენოთ დღეს არსებული გამოწვევები.“
- „ამ პროექტმა ცოდნაც მომცა და გამოცდილებაც. სწორედ ასეთ პროექტებში ჩვენმა ჩართულობამ, უნდა შეძლოს ის, რაც უფროსებმა ვერ შეძლეს. ჩვენ უნდა დავათბოთ ურთიერთობები ერთმანეთთან და იმედი მაქვს, რომ ისევე ერთად ვიქნებით.“
- ნერილი აფხაზ თანატოლებს: გამარჯობა, თანატოლო! მაქვს დიდი სურვილი შეხვედრე, დარწმუნებული ვარ, ბევრი საერთო გვექნება. მე არ მიყვარს მათემატიკა, მაგრამ მაშინვე მათემატიკოსია და ტვინს მიბურღავს. შენ რა გაინტერესებს, რა არის შენი ჰობი?“
- „ვარ დევნილი აფხაზებიდან, მაგრამ ძალიან ცოტა რამ ვიცი კონფლიქტის წარმოშობის მიზეზებსა და მიმდინარეობაზე. ამ ტრენინგმა მომცა საშუალება, გამეფო მეტი.“
- „ამ ტრენინგმა დიდი ცოდნა მომცა და უფრო კარგად გაამაცნო აშუამდგომელი ვითარება. ჩემს აფხაზ თანატოლს ვეტყობი, რომ მინდა მასთან კომუნიკაცია და ჩემი გამოცდილების გაზიარება.“
- „ჩემს აფხაზ და ოს თანატოლებს, პირველ




რიგში, ვუსურვებდი წარმატებას ყველა ნა-მოწყობაში და დიდი სიხარულით ვაგუზიარებდი ჩემს გამოცდილებას თუ აზრებს, რა პრობლემებს ვაწყდებით და მოვისმენდი მათ პოზიციასა და შეხედულებებს. თუ ჩვენი მეგობარი ნუხს, ჩვენც ვწუხვართ, ხოლო მათი ტენდენცია ჩვენც გვაბედნიერებს.“

• „ჩემი გზავნილი აფხაზ თანატოლებთან იქნება ის, რომ ჩვენ საერთო ძალებით უნდა გადავლახოთ ის გამოწვევები და ბარიერები, რომლებსაც დღეს ვაწყდებით. იმისათვის, რომ ჩვენი მომავალი უკეთესი იყოს, ერთობლივად უნდა შევიშუშოთ და განვხილოთ ახალი იდეები და მიდგომები.“

„პირველ რიგში, მინდა მადლობა გადავუხადო ფონდ „სოხუმს“ ასეთი საინტერესო იდეის განხორციელებისთვის. როგორც კონფლიქტის ანალიზისა და მართვის სპეციალისტი ვივლი, რომ ყველა პროექტი, რომელიც კონფლიქტების კონსტრუქციულ ტრანსფორმაციას ემსახურება, მისასალმებელია. კიდევ უფრო მისასალმებელია ახალგაზრდების ჩართვა სამშვიდობო პროექტებში. მნიშვნელოვანია, რომ ამ პროექტის ფარგლებში მონაწილეები იღებენ ინფორმაციას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მიზეზების, მამინდელი კონტექსტის შესახებ. მათ ეძლევათ შესაძლებლობა, აღნიშნულ საკითხზე დასვან კითხვები და გამოთქვან მოსაზრებები. რაც შეეხება ახალგაზრდების ჩართულობას ტრენინგში, როგორც მოსალოდნელი იყო, საკმაოდ აქტიურია. განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც უფრო მეტადაა ხელშეახლები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შედეგები. ეს ეხება ე.წ. გამოყოფილ ხაზების გასწვრივ სოფლებს, ასევე, იმ ადგილებს, სადაც იძულებით

ბით გადაადგილებული ადამიანები ცხოვრობენ. თუმცა, რაც ძალიან საინტერესო და იმედის მომცემია, ყველა ახალგაზრდა გამოთქვამს აფხაზ თანატოლებთან შეხვედრის და საუბრის სურვილს, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ყოველდღიური შეხება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შედეგებთან. რაც ასევე ძალიან საინტერესოა, ახალგაზრდებს არ აქვთ მტრული განწყობა აფხაზ თანატოლებსადმი, უფრო მეტიც, ისინი ემპათიას იჩენენ და ფიქრობენ, რომ გასათვალისწინებელია ის კონტექსტი, რომელშიც უწევთ ცხოვრება მათ თანატოლებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე. მათი მოლოდინი ოპტიმისტურია და, რაც მთავარია, აქვთ გახსნილობა და მზაობა, მოუსმინონ აფხაზ თანატოლებს და მათთან ერთად განიხილონ ის აქტუალური თემები, რომელიც აწუხებს როგორც ქართველ, ასევე აფხაზ ახალგაზრდებს.“ – ქეთი ვასაძე, ტრენინგი, კონფლიქტოლოგი.

პროექტი „განხეთქილების დაძლევა – ხალხთა შორის ინიციატივები კონფლიქტის მოგვარებისთვის“ ქმედითი ინსტრუმენტია სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების გასაფართოებლად. ახალგაზრდებს კი, მისცემს ცაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობას, გაზრდის საერთო, სოციალური პრობლემების გადაჭრის გზების ძიებისთვის თანამშრომლობას და შეიმუშავებს ერთობლივ გრძელვადიან ინიციატივებს ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისთვის, ეკონომიკური ურთიერთობის გადრმავებისა და უნდობლობის შემცირებისთვის.



კომპლექსები და კვლავ კომპლექსები...

კომპლექსები ადამიანის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე იჩენს თავს და გავლენას ახდენს მის კეთილდღეობაზე და წარმატებულ ცხოვრებაზე. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია, თითოეულმა მშობელმა ყურადღება მიაქციოს ბავშვის დამოკიდებულებას სხვადასხვა საკითხის მიმართ და ეცადოს, დროულად დაეხმაროს მას კომპლექსების დაძლევაში.

არის შემთხვევები, როდესაც ბავშვი რეპეტიციულად შესანიშნავად მღერის, მაგრამ სცენაზე გასვლისას ხმა უკანკალებს, სიტყვები ავიწყდება და ტირის. ამიტომ არავინ იცის მისი ნიჭიერების შესახებ, სიმღერის მასწავლებლის გარდა. იგივე ემართება ზოგიერთ მოსწავლეს ან სტუდენტს, რომლებმაც შესანიშნავად იციან საგანი, მაგრამ გამოცდაზე ყველაფერი ავიწყდებათ. არადა, მათი მეგობრები ისე რა სწავლობენ, მაგრამ გამოცდაზე როგორღაც მაღალი ნიშნების მიღებას ახერხებენ. ბიჭს გოგო მოეწონა, მაგრამ ვერაფრით ბედავს მივიდეს და გამოხატოს სიმპათია. ამ არასასიამოვნო სიტუაციებში ე.წ. კომპლექსებია დამნაშავე.


რა არის კომპლექსი? ეს ტერმინი ფროიდმა გამოიგონა და იუნგმა დაამკვიდრა. ოიდიპოსის კომპლექსი – ეს ბუნებრივი პროცესია ბავშვების ფსიქოსექსუალური განვითარების პროცესში, ამასთან, ის შეიძლება კვლავ გაჩნდეს სქესობრივი მომნიშვნის პერიოდში და, თუ არ გადაწყდა, ზრდასრულ ასაკში გადადის და მნიშვნელოვნად აისახება პიროვნულ ურთიერთობებზე. არა აქვს მნიშვნელობა, რაში გიშლის ხელს, თვითშეფასებაში, კარიერაში, საზოგადოებასთან ურთიერთობაში თუ სხვა, კომპლექსი ბარიერია, რომელიც ჩვენი მიზნების მიღწევაში გვიშლის ხელს. კომპლექსებისგან გათავისუფლება შესაძლებელია, დამოუკიდებლად თუ ფსიქოლოგის დახმარებით.

ზოგიერთი ადამიანი ვერ აცნობიერებს, რომ კომპლექსი აქვს, სანამ კონკრეტულ სიტუაციაში არ აღმოჩნდება, სადაც იწყებს არაადეკვატურ მოქმედებას ან უმოქმედობას და ხვდება, რომ ეს მისი ფარული კომპლექსის ბრალია. მას მერე, რაც გაცნობიერებს, სულაც არაა აუცილებელი, რომ მისი მოშორების სურვილი გაუჩნდეს. ზოგი ეგუება თავის კომპლექსს, ეგუება მისგან წარმოქმნილ პრობლემებსა და ბარიერებს. სხვა სახელს არქმევს, გამართლებას უძებნის. ეს ისეთ ადამიანებს ემართებათ, ვისაც არ შეუძლია გარედან შეხედოს თავის თავს, რაციონალურად გააცნობიეროს საკუთარი ხასიათი, წარმოდგენები. ის მთლიანად აიგივებს თავს საკუთარ ფიქრებთან, ვნებებთან და საშინლად ეშინია ცვლილებების ან, უბრალოდ, ეს კომპლექსები აღზრდის ან რელიგიის შედეგად თავს მოხვეული და დარწმუნებულია, რომ სწორია და საჭირო.

ამიტომ, ზოგჯერ ასეც ხდება, რომ ადამიანს აქვს კომპლექსები, მაგრამ თვითონ არ მიაჩნია, რომ ეს ასეა, საზოგადოების ერთ ნაწილშიც მისი ქცევები სრულიად ადეკვატურად, მეტიც, აუცილებლად აღიქმება, მაგრამ შემდეგ ის აღმოჩნდება სხვა გარემოში, სადაც მისი ქცევა აღიქმება, როგორც კომპლექსი და ამის შემდეგ დგება ამ კომპლექსის მოშორების საჭიროება. ეს ხდება ხოლმე, თუნდაც, სხვა ქვეყანაში გადასახლების დროს.

კომპლექსების სხვადასხვა სახეობა არსებობს. მაგალითად: არასრულფასოვნების კომპლექსი, აღმატებულობის კომპლექსი, სირცხვილის კომპლექსი, დანაშაულის კომპლექსი... ბევრი კომპლექსი შიშსა და ფობიებთანაა კავშირში, სხვები – სირცხვილთან. ფროიდმა და იუნგმა სხვა ეგზოტიკური კომპლექსებიც აღმოაჩინეს: მაგალითად, ოიდიპოსის კომპლექსი, კასტრაციის კომპლექსი, ელექტრას კომპლექსი და სხვ.

არასრულფასოვნების კომპლექსების უმეტესობა გამოწვეულია იმით, რომ თუ რომელიმე ადამიანის გარეგნობა, უნარები ანდა ქცევები არ შეესაბამება საზოგადოებაში დამკვიდრებულ ნორმატივებს, ის ხდება დაცინვის, აგრესიის ან გაუცხოების საგანი. ნორმატივებიდან ასეთი გადახ-



რები შეიძლება იყოს, მაგალითად, სიდაბლე ან სიმაღლე, სიგამხდრე ან სიმსუქნე, სხეულის ან მეტყველების სხვადასხვა დეფექტი; სოციალური სტატუსი, რელიგიური, ეთნიკური თუ სქესობრივი უმცირესობა და სხვ. ხშირად ადამიანი მაშინაც კომპლექსდება, როდესაც საზოგადოება არანაირად არ რეაგირებს მის „ნაკლზე“, მაგრამ მას აკომპლექსებს საკუთარი წარმოდგენები და ნორმატივები, რომლებიც ხშირად მცდარია ხოლმე. განსაკუთრებით დიდი რისკის ქვეშ დგანან ბავშვები.

როგორია დაკომპლექსებული ადამიანის რეაქცია? ერთ შემთხვევაში, ის იკეტება საკუთარ თავში, ხდება გაუბედავი, დაბალი თვითშეფასებით, უინიციატივო, პესიმისტი და ბოლიმან-შურიანი. თუმცა, გვხვდება სანაწილმდეგო რეაქციაც არასრულფასოვნების კომპლექსზე. ადამიანი ხდება აქტიური, ამბიციური, მიზანსწრაფული, უჩნდება პირველობისკენ, პოპულარობისკენ და კარიერისკენ ავადმყოფური სწრაფვა, რათა როგორმე საკუთარი ნაკლის კომპენსირება მოახდინოს. ვფიქრობ, არასრულფასოვნების კომპლექსზე ასეთი რეაქცია გაცილებით უფრო მეტი ზიანის მომტანია, ვიდრე პასიური რეაქცია. ამის კარგი მაგალითებია ნაპოლეონი, ჰიტლერი, სტალინი.

საპირისპირო მოვლენაა აღმატებულობის კომპლექსი, თუმცა მას და არასრულფასოვნების კომპლექსს ერთი და იგივე ფესვი აქვს. აღმატებულობის კომპლექსი უჩნდებათ ხოლმე მათ, ვისაც, მათი აზრით, რაღაც სხვებზე მეტი ან უკეთესი აქვს, მაგალითად, მეტი ფული, მაგარი მანქანა, ლამაზი გარეგნობა, ძლიერი კუნთები, რაიმეს ნიჭი, რაც გამოარჩევს სხვებისგან, ადვილად მოპოვებული პოპულარობა. ასეთი ადამიანები ხდებიან ამპარტავნები, ჭირვეულები, ზემოდან უყურებენ თანატოლებს, ცდილობენ პრესტიჟულ ადგილებში დაფიქსირდნენ. ავადმყოფურად რეაგირებენ მათ მიმართ გამოთქმულ აზრზე, აგროვებენ თავყანისმცემლების კოლექციას. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა მდიდარი, ლამაზი, ნიჭიერი და წარმატებული აღმატებულობის კომპლექსით იყოს შეპყრობილი და ყველა დანარჩენი კი არასრულფასოვნების კომპლექსით. არიან წარმატებული ადამიანები, რომლებიც არიან გულლია, ზრდილი, თავმდაბალი და განო-

ნასწორებული ისევე, როგორც რაიმე ნაკლის მქონე ადამიანები, რომლებიც არ აქცევენ ყურადღებას სხვის აზრს და ეწევიან აქტიურ ცხოვრებას.

უფრო საშიში მოვლენაა, როდესაც არასრულფასოვნების კომპლექსით შეპყრობილი ადამიანი უცბად აღმატებულობის კომპლექსით შეპყრობილი ხდება. ეს სწორედ მაშინ ხდება, როდესაც ის რომელიმე რელიგიური, პოლიტიკური ან სხვა ჯგუფის წევრი ხდება. იქ მას სწრაფად აჯერებენ, რომ მან ერთადერთი სწორი არჩევანი გააკეთა, რომ ახლა ის რაღაც დიადის ნაწილია და მისი დიადი ვალია მოაქციოს სხვებიც, ხოლო ვინც გაჯიუტდება, შეავინროვოს და გაანადგუროს. ასეთ ჯგუფებში ხდება კომპლექსებით შეპყრობილი ადამიანების ექსპლუატაცია, მათ სისუსტეებზე მანიპულირების გზით. ასე რომ, არც თუ ისე უწყინარი დაავადება ყოფილა კომპლექსი.

კომპლექსების უმეტესობა ყალიბდება ბავშვობაში, ბავშვის აღზრდაში დაშვებული შეცდომების შედეგად და ვინაიდან ეს შეცდომები, დღეს, საქართველოში, ნორმად ითვლება, დაკომპლექსებული ადამიანები და მათი კომპლექსიანი ქცევაც ნორმად და მიჩნეულია. არსებობს ნაციონალური, წმინდა ქართული ხასიათის კომპლექსები. მაგალითად, „რას იტყვის ხალხი“, ადამიანებს მუდმივად სიცრუის რეჟიმში ამყოფებს, ხოლო სიცრუე, მოგვსხენებათ, მძლავრ ქვეცნობიერ სტრესს იწვევს, შედეგებიდან გამომდინარე. ხშირად ბავშვები ასეთ გარემოში იზრდებიან.

რა არის გამოსავალი, იკურნება ეს ყველაფერი? იკურნება, ზოგი – ადვილად, ზოგი – ძნელად. არსებობს სტრესული სიტუაციების შედეგად მიღებული კომპლექსებისგან განთავისუფლების შესანიშნავი თანამედროვე ფსიქოტექნოლოგიები. რაც შეეხება კომპლექსებს, რომლებიც სოციალის ზეგავლენითაა ჩამოყალიბებული, აქ თვითონ პაციენტის ნებისყოფაზეა ბევრი რამ დამოკიდებული და მის მზაობაზე, შეიცვალოს მსოფლმხედველობა და აზროვნების წესი.

ირამლო ლანრაპა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგია-ფილოსოფიის ფაკულტეტის მონვეული მასწავლებელი



ეროვნული არქივის საბანანათლებლო პროექტის გამარჯვებულები გამოვლინდნენ

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის საგანმანათლებლო პროექტ „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის“ გამარჯვებულები გამოვლინდნენ. კონკურსის თემა იყო – „რატომ არის მნიშვნელოვანი დღევანდელ დღეს საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორიის ცოდნა?“ შეჯიბრი ZOOM-ის პლატფორმაზე, ონლაინ რეჟიმში შედგა.

I ადგილი დაიკავა მარიამ ბოკუჩავამ (თბილისის დამოუკიდებელი საერო გიმნაზია „შავნაბადა“); II და III ადგილებზე გავიდნენ დავით სეფაშვილი (ყვარლის №2 საჯარო სკოლა) და ნიკა ქავთარაძე (თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის №53 საჯარო სკოლა); IV ადგილზე გამსვლელი 18 ქულა 9 მოსწავლემ დააგროვა – ანანო ჯაფარიძემ (მესტიის წმ. ილარიონ ქართველის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია), გიორგი სანიკიძემ (ზუგდიდი, აფხაზეთის №1 საჯარო სკოლა), ელენე კიკლაშვილმა (თბილისის დამოუკიდებელი საერო გიმნაზია „შავნაბადა“), ლანა ქიმერიძემ (ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ზიკილიის საჯარო სკოლა), ლიანა ვიდიშერაშვილმა (კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოვლის საჯარო სკოლა), ლინა კურტანიძემ (ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ კლდის საჯარო სკოლა), მარიამ შომახია (აბაშის №2 საჯარო სკოლა), ნინო ხიდაშელმა (თბილისის №191 საჯარო სკოლა) და ქეთევან შულღიაშვილმა (გორის №12 საჯარო სკოლა).

41 ფინალისტის ნამუშევრიდან შეირჩა 12 საუკეთესო ესე, რომელთა ავტორებსაც დიპლომები, ეროვნული არქივის გამოცემების კომპლექტები და ფასიანი საჩუქრები გადაეცემათ. ეროვნული არქივის გამოცემებით დაჯილდოვებიან დანარჩენი ფინალისტებიც. პროექტის ყველა მონაწილე სერტიფიკატს მიიღებს.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის შესახებ საგანმანათლებლო პროექტს საფუძველი 2015 წელს ჩაეყარა და, ამ დრომდე, მასში 800-მდე საჯარო და კერძო სკოლის 4500-ზე მეტმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა.



ათონიკური იდენტობა



ნატალია ახალაძე
ნიკო ბაგრატიონის სახელობის სკოლა-ლიცეუმის
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

„- მამა ამბობს, რომ იქ ჩვენი სამშობლოა, მშობლიური მი-
წა, დიდებული ელადა... მამა-პაპათა სისხლი გვეძახის და მო-
ვალენი ვართ ნავიდეთო...
- მერედა, რატომ არ მიჰყვები? - გულწრფელად გამიკ-
ვირდა მე.
- როგორ ავიხსნა... - თქვა ბოლოს იანგულიმ, - მე ვენეცი-
ის გზატკეცილზე გავიზარდე, ქუჩაში... ჩემი სამშობლო სო-
ხუშია, ვენეციის გზატკეცილი, ჩალბაში, კოკა, პეტია, კურ-
ლიკა, ფემა... შავი ზღვა, ჩემი ვირი, რკინიგზის ხიდი...
- კი მაგრამ ეგ რაღაა? - ვკითხე. მკერდზე ხალათი გადა-
ვუწიე და ლურჯად ამოსვირინგებული HELLADOS ნავეიკთხე
ხმაძალა.
- ეს ამოსვირინგებული სიტყვაა, ჯემალ. სამშობლო უფ-
რო ღრმადაა. უფრო შვიკით...“

HELLADOS

ადგილის შეიძლება, სოცხალი აღამიანივით მოგენატროს

ადგილი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს იდენტობაზე და
იდენტობის ჩამოყალიბების პროცესზე. განსაკუთრებულად კი
- ეთნიკური იდენტობის. თუ მე უცხოეთში დავიბადე და გა-
ვიზრდე, გამიჭირდება, იდენტიფიკაცია მოვახდინო საკუთარ
თავთან, როგორც ქართველთან. ეს იდენტიფიკაცია დღეს სა-
ქართველოში დაბადებულ და გაზრდილ ადამიანებსაც კი
უჭირთ, ამის მაპროვოცირებელი მიზეზი კი გლობალიზაცია და
სოციალური ქსელებია, რაც გწყვეტს კონკრეტული ქრონოტო-
პიდან და მსოფლიოს ნაწილი ხდები.

კი, ადამიანი ირჩევს ეთნიკურ იდენტობას და ირჩევს იმ ად-
გილის მიხედვით, სადაც მას წლების გატარება უნევს. ხშირად,
ადამიანები ამბობენ, რომ მათ თავიანთ სამშობლოში თავი ვერ
იგრძნენ კარგად, ამიტომ ნავიდნენ და ახლა სხვა სამშობლო
აქვთ. ესეც იმას ნიშნავს, რომ ამ ადამიანებმა არჩევანი თავიან-
თი პრიორიტეტის შესაბამისად გააკეთეს.

არსებობს კოლექტიური მეხსიერება, რომელიც ერის ისტო-
რიას, იმ მოვლენებს მოიცავს, რომელიც ადამიანებში გარკვე-
ულ გრძობებს იწვევს. მაგრამ, ეს კოლექტიური მეხსიერება გე-
ნეტიკურად არ გადაეცემა, ეს არის ცოდნა, რომელიც ადამიანს
დროის განმავლობაში გადაეცემა. ეს გადაცემის პროცესი ვერ
წარმართება მაშინ, თუ ადამიანი მოკლებულია რესურსს, ან
იზრდება დედამინის სხვა რეგიონში და არა საკუთარ სამშობ-
ლოში. ამის მაგალითია იანგული ნოდარ დუმბაძის მოთხრობი-
დან „HELLADOS“. იანგული ვერ გრძობს თავის რეალური სამ-
შობლოს, ელადის სიდიადეს, რადგან მისი სიყვარული სოხუმის
ქუჩებს და იქ მცხოვრებ ადამიანებს უკავშირდება.

(ადგილიც შეიძლება, ცოცხალი ადამიანივით მოგენატროს.)
თუმცა, მანამდე, 1928 წელს, მიხეილ ჯავახიშვილმა მოთხ-
რობა „მინის ყვილი“ დაწერა. ამ მოთხრობაში ყველაფერი დია-
მეტრალურად შეცვლილია - ანდრო კაიშაური ღრმა ბავშვობის
ასაკიდან მონყდა სამშობლოს, ჯერ რუსეთში გაიზარდა და იქ
შექმნა ოჯახი, შემდეგ საფრანგეთში დასახლდა და ანდრე კაშო-
რი დაირქვა. სიცოცხლის ბოლო წლებში აღარ ახსოვს თავისი
ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტები, სამშობლო და ენა კი ბავ-
შვობაშივე აქვს დაიწყებული. ამ დროს ის შეხვდება ამ მოთხ-
რობის ავტორს საფრანგეთში. ავტორს ხელში ქართული ნივინ
უჭირავს, მოხუცი კი წიგნით დაინტერესდება. ნაწარმოების და-
სასრულს კაიშაური გაიხსენებს სახელს, გვარს, დედის, მამის და

წარმოშობის ადგილის - ანაურის სახელს.

„ვერა, ვერ დავბრუნდები“ - ეს იყო მისი უკანასკნელი, სევ-
დიანი სიტყვები.

ირჩევს თუ არა ადამიანი იდენტობას, მისი ფლობა ადამიან-
ისთვის მნიშვნელოვანია - საკუთარი იდენტობა ცალკეულ ერ-
თან გიქმნის მარადიულობის, ღირებულების შეგრძნებას. მენ
ხარ მენი ეთნოსის ნაწილი, იაზრებ ამ ეთნოსის კულტურულ ღირ-
ებულებებს და ამ გადასახედიდან უფრო ნათლად აღიქვამ
სხვების განსხვავებულობას.

„იზოლაციაში გაზრდილ ინდივიდებს არ ჰქონდათ საკუთარი
თავის განსხვავებულობის განცდა და საკუთარ თავს ვარემო-
დან ვერ გამოყოფდნენ. ისინი ვერ ხვდებოდნენ, თუ ვის უყურებ-
დნენ სარკეში“ (Gallup, 1977).

თუმცა, ეთნიკური იდენტობა ნელ-ნელა იკარგება. ეთნიკურ
იდენტობას კულტურული იდენტობაც შეადგენს, დღეს კი ნაცი-
ონალური კულტურების ისტორია, ფოლკლორი, ეთნოგრაფია,
ხელოვნება არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოშიც
ფარდებს მიღმა. გლობალიზაცია, პოპკულტურა და მასკულ-
ტურა იკავებს სივრცეს.

რამდენად კარგია ეს ან რამდენად ცუდი, საკამათოა. არსე-
ბობს მოსაზრება, რომ მსოფლიოში იდენტობების მოშლა და
ერთ ენაზე, ერთ რელიგიასა და კულტურაზე ეთნოსების დაყვან-
ა ცხოვრებას გაამარტივებს, საზღვრები მოიშლება და აღარ
ექნება ადგილი ეთნიკურ კონფლიქტებს. დღეს კი, არაერთი ეთ-
ნიკური უმცირესობა აძლიერებს თვითგამორკვევისა და თავი-
სუფლების ძიების პროცესს (ბასკები, კატალონიელები, კოსო-
ვოელი ალბანელები, ჩეჩნები, ხორვატები, ბოსნიელები, მაკე-
დონიელები და ა.შ.).

მეორე მოსაზრების მიხედვით, ეთნიკური მრავალფეროვნე-
ბა ქმნის მსოფლიოს საინტერესოს.

დღეს ჩემი ეთნიკურობა ჩემი იდენტობის ერთ-ერთი ატრიბუ-
ტია. მე არ ვარ მხოლოდ სქესით, ასაკით, პროფესიით ან სახელი-
თა და გვარით განპირობებული, არამედ - ჩემი ეროვნებით. რაც
უფრო იზრდება მსოფლიოს სხვადასხვა ადამიანებთან ურთიერ-
ობების მასშტაბები, მით უფრო მეტი ატრიბუტია საჭირო იმის
განსასაზღვრად - ვინ ხარ მენ და რა ქვეყანა უნდა ელოდნენ შენ-
გან. სწორედ ასეთი ატრიბუტია ეთნიკური იდენტობა, რომელიც
ჩვენს პიროვნებას დამატებით „ბეიჯს“ ანიჭებს.

პროექტი

შეფასება განვითარებისთვის

ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუ-
ნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის №1 საჯარო სკოლის-
თვის შეფასებისა და გამოცდების ცენტრის მიერ ინიცი-
რებულ პროექტში „შეფასება განვითარებისთვის“ ჩარ-
თვა მორიგი გამოწვევაა.

2020 წლის დასაწყისში სკოლა, საქართველოს 200-
მდე სკოლასთან ერთად, პროექტის პილოტირების პირ-
ველ ეტაპში ჩაერთო, რაც გულისხმობდა მე-4 და მე-6
კლასების მოსწავლეების ტესტირებას ქართულ ენასა
და ლიტერატურაში (ნივინერება) და მათემატიკაში (რა-
ოდენობრივი ნივინერება).

მიმდინარე წლის 1-4 ივნისს, სკოლის ბაზაზე, პროექ-
ტის პილოტირების მორიგი საცდელი ფაზა გაიმართა.
მოსწავლეებმა ტესტირება სრულად ელექტრონულ
ფორმატში გაიარეს. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეე-
ბი ნაშრომების შეფასებას, რომელიც განმავითარებელი
იქნება, უახლოეს მომავალში ელოდებიან. მიღებული შე-
დეგების ანალიზი როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავ-
ლებლებს საშუალებას მისცემს, დააკვირდნენ განვითარ-
ების დონეს და გაიგონ რა პრობლემებს აქვს ადგილი
სწავლის დროს. კლასში გამოკვეთილი ტენდენციები პე-
დაგოგებს საშუალებას მისცემს, დაგეგმონ შესაბამისი

ინტერვენციები როგორც კონკრეტული მოსწავლის,
ასევე საკლასო დონეზე.

მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, მშობ-
ლები შეძლებენ, დააკვირდნენ შვილის პროგრესს და
სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი გახდებიან,
ხოლო სკოლა შედეგებს დაამუშავებს და შეადგენს გან-
ვითარების სტრატეგიას.

პილოტირებისთვის მზადების პერიოდში მოსწავლე-
ებს საშუალება მიეცათ, ემუშავათ საცდელი ტესტირე-
ბის დემო ვერსიაზე, რამაც ხელი შეუწყო ტესტირების
პროცესის გამართულ და შეუფერხებელ წარმართვას.

მოსწავლეთა შთაბეჭდილებების ბარათებში აღნიშ-
ნულია, რომ ძალიან მოეწონათ როგორც კომფორტული
სამუშაო გარემო, ასევე ტესტების შინაარსობრივი მხა-
რე, რაც მარტივ, გასაგებ ენაზე ფორმულირებულ ინსტ-
რუქციებს და სწორად შერჩეულ საკითხებს გულისხ-
მობს.

მთავარისა თალაქვაძე
სკოლის კოორდინატორი, მათემატიკის
ნამყვანი მასწავლებელი



Info www.akhliganatlaba.ge

საერთაშორისო კვლევა



ევროპის ტრენინგების ფონდისა (ETF) და ევროპის
რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ერთობლივი
კვლევის „ინკლუზიური უნარები სოფლის მეურნეობის სექტორში
ინოვაციური სანარმოების განვითარებისთვის COVID-19-ის
შემდგომ“ პრეზენტაცია გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდა
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე
თამარ ქიტიაშვილი.

ონლაინ ღონისძიებაზე პროექტში ჩართულმა საერთაშორისო
ექსპერტებმა და მონაწილე ქვეყნების (საქართველო, მოროკო,
სერბეთი, თურქეთი, უზბეკეთი) საჯარო და კერძო სექტორის
წარმომადგენლებმა, პანდემიისა და მის შემდგომ პერიოდში სოფლის
მეურნეობის სფეროში არსებული გამოწვევები, შესაძლებლობები,
აგრობიზნესის სექტორში ინოვაციებისა და ახალი უნარების
განვითარების საუკეთესო მაგალითები განიხილეს და
დაინტერესებულ მხარეებს, დარგის განვითარების ხელშეწყობის
მიზნით, თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს.

თამარ ქიტიაშვილმა პროფესიულ განათლებაში პანდემიით
გამოწვეული ზიანის საპასუხოდ გადადგმულ ნაბიჯებზე, ახალი
შრომითი უნარების განვითარების ხელშეწყობაზე და იმ
საერთაშორისო გამოცდილებასა და მხარდაჭერაზე ისაუბრა, რაც
ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნისთვის ერთ-ერთი ყველაზე
პრიორიტეტული მიმართულების - სოფლის მეურნეობის
განვითარებას. მისი თქმით, სოფლის მეურნეობა პირველი
სექტორია საქართველოში, რომელმაც შეძლო და გააერთიანა 12
სექტორული ასოციაცია, დარგობრივი უნარების ორგანიზაციის
(დუო) ქოლგის ქვეშ, რაც დარგში ახალი უნარების სწრაფ
განვითარებას შეუწყობს ხელს.

2021 წლის გამოცდების ბანრიზი დაგვიხსნა

2021 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები პირველ ივლისს დაიწყო, ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდით, 14 ივლისიდან კი გამოცდებში მასწავლებლები და მასწავლებლობის მსურველი პირები ჩაერთვებიან.

28 ივლისს სტუდენტთა საგრანტო კონკურსი ჩატარდება, ხოლო საერთო სამაგისტრო გამოცდას მაგისტრანტობის კანდიდატები 27-30 ივლისს ჩააბარებენ.

წელს პირველად, 27 ივლისს, გამოცდას ჩააბარებენ სპეციალური მასწავლებლები.

4 ივლისს, საგამოცდო განრიგის დამტკიცებასთან დაკავშირებით, ბრიფინგი გამართა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა, სოფო გორგოძემ და მედიას ჯერ მხოლოდ ის დეტალები გააცნო, რაც ამ დროისთვისაა დაზუსტებული.

სოფო გორგოძის განცხადებით, საგამოცდო ცენტრებში მზადების პროცესი მიმდინარეობს. წელს აპლიკანტებს 1-ით მეტი, 25 საგამოცდო ცენტრი მოემსახურება, აქედან 11 თბილისში გაიხსნება, 3 – ბათუმში, 3 – ქუთაისში და დანარჩენი სხვა ლოკაციებზე განთავსდება.

ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, გამოცდები წელსაც კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული რეგულაციების დაცვით ჩატარდება, თუმცა, როგორც ცენტრის ხელმძღვანელმა განაცხადა, საბოლოო დეტალების დასაზუსტებლად, ჯანდაცვის სამინისტროსთან კონსულტაციები ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

სოფო გორგოძე: „ცხადია, დიდია ინტერესი, თუ როგორი რეგულაციებით ჩავატარებთ გამოცდებს. ამ ეტაპზე, რეგულაციები იგივეა, რაც შარშან იყო, თუმცა, შესაძლებელია, გარკვეული ცვლილებები შევიდეს. დაგეგმილი გვაქვს კიდევ ერთი შეხვედრა ჯანდაცვის სამინისტროსთან, რომლის შემდეგაც საბოლოოდ დაზუსტდება ყველა რეგულაცია და, ვფიქრობ, დაახლოებით ორ კვირაში, კიდევ ერთხელ გვექნება ასეთი საინფორმაციო კამპანია, სადაც უკვე კოვიდთან დაკავშირებულ საკითხებს გავივლით, მაგალითად, როგორ ხდება კოვიდინფიცირებული აბიტურიენტების მართვა, რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ გამოცდაზე მისულ აბიტურიენტს ტემპერატურა დაუფიქსირდა და ა.შ. როგორც ვითხარით, ამ საკითხებზე, მიმდინარეობს მსჯელობა, შეიძლება ითქვას, რომ დასკვნით ეტაპზე ვართ და საბოლოო ინფორმაციას საზოგადოებას ჯანდაცვის სპეციალისტებთან ერთად გავაცნობთ, რადგან ეს მათი კომპეტენციაც არის. კოვიდთან დაკავშირებული რეგულაციები კი, თავისთავად, თანაბრად შეეხება როგორც აბიტურიენტებს, ისე მასწავლებლებს და დანარჩენ აპლიკანტებს.“

შეფასებისა და გამოცდების ცენტრის დირექტორი თხოვნით მიმართავს აბიტურიენტებს, რომ ყურადღებით ადევნონ თვალი ცენტრის ვებგვერდს, სადაც ყველა სიახლე ქვეყნდება. აპლიკანტებს ურჩევს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საგამოცდო ბარათზე დატანილ ინფორმაციას, რომელიც მათთვის 20 ივლისს შემდეგ იქნება ხელმისაწვდომი: „განრიგი, რომელიც ჩვენს ვებგვერდზე განთავსდა, მაინც ზოგადია, ამიტომ, აუცილებლად უნდა დაელოდოთ საგამოცდო ბარათს (მოსაწვევს), სადაც უკვე კონკრეტულად იქნება მითითებული – რომელ საგამოცდო ცენტრში, რომელ სესიაზე უნდა გამოცხადდეთ. 20 ივლისს შემდეგ ეს ინფორმაცია ელექტრონულად იქნება ხელმისაწვდომი იმ გვერდზე, სადაც დარეგისტრირდით (თქვენს პირად გვერდზე). ამიტომ, ვთხოვ ყველა აბიტურიენტს, რომ ამ პერიოდიდან ყურადღებით იყოთ და დროულად ნახოთ თქვენი საგამოცდო ბარათი, ამოღებულად და დეტალურად გაეცნოთ მასზე დატანილ ინფორმაციას, რომ თავიდან აიცილოთ გაუგებრობა – სად, რომელ საგამოცდო ცენტრში და რომელ საათზე უნდა მიხვიდეთ გამოცდაზე. ასევე, ყურადღებით ადევნეთ თვალი კოვიდთან დაკავშირებული რეგულაციების შესახებ ინფორმაციას, რომელსაც, დაახლოებით, ორ კვირაში შემოგთავაზებთ.“

რაც შეეხება სპეცმასწავლებლებს, რომლებიც წელს პირველად აბარებენ გამოცდას, მათთვის ცენტრი უახლოეს პერიოდში გეგმავს ღია კარის დღეებს, რომლის შესახებაც ინფორმაცია ცენტრის ვებგვერდზე განთავსდება. სოფო გორგოძე თხოვნით მიმართავს სპეცმასწავლებლებს, გაეცნონ ვებგვერდზე განთავსებულ, მათთვის განკუთვნილ ინფორმაციას, რაც მისცემს მათ მიმართულებას, როგორ მოემზადონ გამოცდისთვის.

2021 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ბანრიზი

- 1 ივლისი, 2 ივლისი, 5 ივლისი (პირველი და მეორე სესია) – ქართული ენა და ლიტერატურა;
- 1 ივლისი (პირველი სესია) – ოსური ენა;
- 1 ივლისი (პირველი სესია) – აფხაზური ენა;
- 6 ივლისი (პირველი სესია) – რუსული ენა;
- 6 ივლისი (პირველი და მეორე სესია) – ინგლისური ენა;
- 6 ივლისი (მეორე სესია) – ფრანგული ენა;
- 1 ივლისი (პირველი სესია) – რუსული ენა;
- 7 ივლისი (პირველი და მეორე სესია) – ინგლისური ენა;
- 8 ივლისი (პირველი სესია) – გერმანული ენა;
- 8 ივლისი (პირველი და მეორე სესია) – ინგლისური ენა;

- 9 ივლისი (პირველი და მეორე სესია) – მათემატიკა;
- 12-13 ივლისი (პირველი და მეორე სესია) – ისტორია;
- 14 ივლისი (მეორე სესია) – ბიოლოგია;
- 15 ივლისი (მეორე სესია) – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება;
- 15 ივლისი (მეორე სესია) – ქიმია;
- 16 ივლისი (მეორე სესია) – გეოგრაფია;
- 19 ივლისი (პირველი და მეორე სესია) – ზოგადი უნარები;
- 20 ივლისი (პირველი სესია) – ფიზიკა;
- 20 ივლისი (პირველი სესია) – ლიტერატურა;
- 20 ივლისი (მეორე სესია) – ზოგადი უნარები.

28 ივლისი (მეორე სესია) – სტუდენტთა საგრანტო კონკურსი.

2021 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩატარების ბანრიზი

- 27 ივლისი (პირველი სესია) – ნაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა;
- 28 ივლისი (პირველი სესია) – ლოგიკური მსჯელობა, რაოდენობრივი მსჯელობა;
- 29 ივლისი (პირველი და მეორე სესია) – ნაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა;
- 30 ივლისი (პირველი და მეორე სესია) – ლოგიკური მსჯელობა, რაოდენობრივი მსჯელობა.



სამოცდო გაცეცხილი

7 ლარი

12 ლარი

10 ლარი

9 ლარი

სიხსლე მარტივად

მასწავლებლის გამოსვლისთვის

ფასი – 27 ლარი

ნიგონი თავერსილი

I-IV კლასების მასწავლებელთა კომპიუტერული საგამოცდო მასალა, კითხვა-პასუხის და ტესტების სხით

ფასი – 17 ლარი

12 ლარი

ნიგონის თარო

ტესტები ქართულ ლიტერატურაში

იკონული გამოცდისათვის

ნიგონი I V-XVII სს მხარელობა

ნიგონი II XIX საუკუნის მხარელობა

ნიგონი III XX საუკუნის მხარელობა

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

სწავლების ინტერაქტიული მეთოდები 10 ლარი

ქართული (I-VII) მასწავლებლისთვის გამოსვლისთვის 11 ლარი

პროფესიული უნარები თეორიული მასალა 15 ლარი

პროფესიული უნარები ტესტები 15 ლარი

ხელმძღვანელის თანხა გადმოიხსნით რაქვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

შეაქენის მსურველები დაგვიკავშირდით:

555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23